# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 აპრილი 2007 №86 (3009) ფასი 50 თეთრი

# დიდი ფეხბურთელის პოლიტიკა: ევრორემონტი



## პლატინი ისტორიის მოედანზეც მშვენიერი მოთამაშეა

UEFA EURO 2012™ Announcement Ceremony

ყველამ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ ფეხბურთი პოლიტიკისგან შორს სულაც არ არის. ხშირად ფეხბურთი პოლიტიკის ნაწილია, ოღონდ, ხან კარგია და ხან ცუდი. რაც ამჯერად მოხდა, მშვენიერია: მიშელ პლატინიმ გამოაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია, უეფა, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლად უკრაინასა და პოლონეთს ირჩევს. კონკურენტები იყვნენ იტალია და უნგრეთ-ხორვატიის გაერთიანება. ამ უკანასკნელმა კენჭისყრისას საერთოდ ვერ მიიღო ხმა, იტალიამ კი უკრაინა-პოლონეთთან 8:12 წააგო. ვითომ უკრაინა და პოლონეთი ინფრასტრუქტურით იტალიაზე განვითარებულები არიან? სადღეისოდ, ცხადია, არა, მაგრამ აკი აშკარაა, რომ უეფამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და...
დიდმა ევროპულმა ფეხბურთმა ყოფილ საბჭოეთშიც შემოაბიჯა.

# MESSIDONA

## გუშინ ქამპ ნოუზე მარადონას შვილი შეეძინა. დნმ-ანალიზი საჭირო არ არის: არგენტინა!









AFP ფოტოები

ეს არ იყო ციტატა გენიოსის შემოქმედებიდან, ეს იყო თავად გენიოსობის მსგავსი: ცენტრიდან დაძრულმა ბარსელონელმა ლეო მესიმ, ვინც შეეყარა, ყველა მოატყუა და ასე გაუტანა „ხეტაფეს" პირველი გოლი. არგენტინაში მარადონას გენები მარადობს

# მხარდაჭერა მხარდაჭერის წილ



**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ეროვნულ სტადიონზე ვეტერან ფეხბურთელებს შეხვდა.

მოგეხსენებათ, 13 მაისს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია და ახალკაცმა განაცხადა, რომ კვლავაც კენჭს იყრის. ჰოდა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მის კანდიდატურას ყრილობაზე სწორედ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი წარადგენს. ვეტერანებმა გუშინდელ შეხვედრაზე აღნიშნეს, ახალკაცი ჩვენთვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს, ანაზღაურება დაგვინიშნა, იუბილეებს გვიწყობს, გარდაცვლილ ფეხბურთელთა საფლავებიც ფედერაციის ხარჯებით წესრიგდებაო.

ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა ჯერ მხოლოდ სურვილი გამოთქვა, თავად წარედგინა ახალკაცი საარჩევნო ყრილობაზე, რასაც მალე ალბათ ოფიციალური სახეც მიეცემა.

**ილია ნანობაშვილი**

# ნოდარ ახალკაცს საპრეზიდენტოდ ვეტერანები წარადგენენ



ბადრი ქადიდაშვილის ფოტო

# კვარაცხელიას გეგმა: ჯერ პრესკონფერენცია, მერე ფორმალობები



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები 13 მაისს გაიმართება და თუ ფედერაციას ნოდარ ახალკაცის სახით მალე ეყოლება პირველი ოფიციალური კანდიდატი, მეორეც არ დააყოვნებს — პრეზიდენტობის მსურველმა მამუკა კვარაცხელიამ გუშინ გვითხრა, რომ ოფიციალური კანდიდატი აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში გახდება.

კვარაცხელიას ფორმალური საკითხები აქვს მოსაგვარებელი. ჯერაც უცნობია, თუ ფედერაციის რომელი სუბიექტი წამოაყენებს მას პრეზიდენტობის კანდიდატად.

კვარაცხელიამ ისიც გვითხრა, რომ სანამ ოფიციალური კანდიდატი გახდება, უახლოეს დღეებში პრესკონფერენციას მოაწყობს.

**დავით თავართქილაძე**

# სიონი ცხადაძეზე ხვალ ილაპარაკებს

**„ამერთან“** თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ბოლნისის „სიონი“ ხვალ შეიკრიბება, შედგება კლუბის დირექტორატის სხდომა და მწვრთნელის საკითხიც იქ გაირკვევა. მოგეხსენებათ, კახა ცხადაძემ სამშაბათს „ამერთან“ 0:3 წაგების შემდეგ გუნდიდან წასვლის თაობაზე განაცხადა, „სიონში“ ჩემი შესაძლებლობები ამოვწურეო.

ცხადაძემ თავისი გადადგომა საჯაროდ, პრესკონფერენციაზე გამოაცხადა და არა გვგონია, გადაწყვეტილება შეცვალოს, არადა, „სიონთან“ კონტრაქტი 1 ივნისამდე აქვს. ბოლნისელთა ხელმძღვანელებს მწვრთნელისგან გუნდიდან წასვლაზე ჯერჯერობით არანაირი განცხადება არ მიუღიათ და ვერც იმას ამბობენ, რა იქნება მომავალში. დააკმაყოფილებენ თუ არა „სიონის“ უფროსები ცხადაძის თხოვნას, ეს სწორედ ხვალ გაირკვევა. როგორც შევიტყვეთ, დირექტორატის შეკრებას თავად მწვრთნელიც დაესწრება და სათქმელსაც მაშინ უფრო კონკრეტულად იტყვის.

ცხადაძის მემკვიდრეზე ბოლნისში ჯერ არაფერი უთქვამთ, თუმცა სეზონის დამთავრებამდე ექვსი ტურით ადრე, მით უმეტეს, როცა გუნდს აღარანაირი მოტივაცია არ შერჩენია, ნაკლებად სავარაუდოა, „სიონში“ ახალი მწვრთნელი დაინიშნოს. სეზონს ალბათ ყოფილი მწვრთნელის რომელიმე თანაშემწე ჩაამთავრებს, ზაფხულიდან კი...

**კობა ინასარიძე**



ბადრი ქადიდაშვილის ფოტო

### დანია
სუპერლიგა. XXV ტური

ჰორსენსი 2:2 მიდტიულანდი
ბრონდბიუ 3:1 ვიბორგი
ოდენსე 0:0 ესბიერგი
რანდერსი 1:1 ოლბორგი
სილკებორგი 1:1 ვაილე
ნორდსიელანდი 0:1 კოპენჰაგენი

### ბულგარეთი
ვიშა ლიგა. XXIII ტური

სლავია 0:3 ლევსკი
ბელასიცა 1:0 როდოპა
ლიტექსი 11:0 ჩერნომორეცი
ლოკომოტივი (პლ) 2:0 ვიჰრენი
რილსკი 0:1 ბეროე
სპარტაკი 0:2 ლოკომოტივი (ს)
ცსკა 2:0 ბოტევი

### უკრაინა
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები

მეტალისტი 0:1 დინამო
შახტარი 0:0 ტავრია

### ესპანეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი

ბარსელონა 5:2 ხეტაფე

### რუსეთი
თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

კრილია 0:2 *მოსკვა* (2:3)
*დინამო (ბრ)* 0:0 როსტოვი (2:1)
*ლოკომოტივი* 4:0 დინამო (მ) (0:1)
*სპარტაკი* 1:1 ზენიტი (2:1)

### რუმინეთი
თასის ნახევარფინალი

*ტიმიშოარა* 1:0 სტიაუა

### სერბეთი
თასის ნახევარფინალი

*ვოივოდინა* 1:0 ბანატი
*ცრვენა ზვეზდა* 1:0 პარტიზანი

### ხორვატია
I დივიზიონი. XXVII ტური

ჰაიდუკი 4:0 კამენი
შიბენიკი 0:0 სლავენი
ზაგრები 1:1 მედიმური
ვარტექსი 2:2 პულა
დინამო 4:0 ციბალია
რიეკა 0:2 ოსიეკი

### ჰოლანდია
თასის ნახევარფინალი

*აიაქსი* 3:1 ვალვაიკი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XXIII ტური

ბუდეიოვიცე 2:0 სპარტა
ბანიკი 1:0 მოსტი
სლავია 0:1 პლზენი
ტეპლიცე 1:0 პრჟიბრამი
ზლინი 0:2 ბოლესლავი

### პორტუგალია
თასის
ნახევარფინალი

*სპორტინგი* 2:1 ბეირა მარი

### ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

ბლეკბერნი 3:1 უოტფორდი
ლივერპული 2:0 მიდლსბრო
ვესტ ჰემი 1:4 ჩელსი

### ბელგია
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი

გენტი 3:1 ბრიუგე

### უნგრეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი

ჰონვედი 0:0 ვაშაში

### საფრანგეთი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

ბორდო 3:0 ნანსი
ლიონი 0:0 რენი

თასის ნახევარფინალი

*მარსელი* 3:0 ნანტი

### საბერძნეთი
სუპერლიგა
გადადებული მატჩი

არისი 2:0 ერგოტელისი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

ქსანთი 0:1 *პანათინაიკოსი* (0:0)
იანინა 0:2 *ლარისა* (0:2)

### პოლონეთი
I ლიგა. XXII ტური

არკა 0:1 ოდრა
გურნიკი 0:3 ზაგლები
ლეხი 3:0 პოგონი
ლოძი 2:1 კრაკოვია
ვისლა 2:1 ლეჩნა
ბელხატოვი 1:0 გროცლინი

### ავსტრია
ბუნდესლიგა
XXIX ტური

ტიროლი 0:2 შტურმი
გრაცერი 2:1 აუსტრია
პაშინგი 1:1 ალტახი
ზალცბურგი 2:0 რიდი

### შვეიცარია
სუპერლიგა
XXVIII ტური

აარაუ 1:1 იანგ ბოისი
შაფჰაუზენი 1:1 გრასჰოპერი
თუნი 2:1 ლუცერნი
ციურიხი 2:1 სიონი

ჩელენჯლიგა
XXVI ტური

ლოკარნო 2:0 ლოზანა
ბოლმი 1:1 იუვენტუსი
კონკორდია 3:2 სერვეტი
კრინსი 1:1 დელემონი
ლუგანო 3:1 ბელინცონა
ქსამაქსი 2:0 კიასო
ვინტერთური 1:3 ვილი
ვოლენი 2:2 შო დე ფონი
ივერდონი 4:2 ვადუცი

### გერმანია
თასის ნახევარფინალი

ვოლფსბურგი 0:1 *შტუტგარტი*

# 26 მაისს ვილაპარაკოთ

## სულიკო დავითაშვილი: ამერი იმას თამაშობს, რაც სჭირდება

**თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ფინალში საქართველოს თასის შარშანდელი წყვილი იქნება — ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში „ამერმა" შინ „სიონი" წააქცია 3:0, ხოლო „ზესტაფონმა" „ბათუმი" 4:0. მოკლედ, 26 მაისს თასის ფინალში ალბათ „ზესტაფონი" და „ამერი" იბრძოლებენ. ამერელთა ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელ სულიკო დავითაშვილს სათასო ამბების გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ...**



— ელოდი, რომ „სიონს" ასე იოლად მოუგებდით პირველ მატჩს?

— ეს მართლაც მოულოდნელი იყო, არ გვეგონა, თუ „სიონს" 3:0-ს მოვუგებდით, ბოლნისელებს ხომ საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ. ყველა გუნდს ემართება ასეთი რამ — ერთ კონკრეტულ თამაშში არაფერი გამოსდის და ალბათ ასე დაემართა „სიონსაც", თუმც ჩვენც კარგად ვითამაშეთ.

— „ამერი" ალბათ უკვე 26 მაისის მატჩზე და „ზესტაფონზე" ფიქრობს...

— „ზესტაფონი" ნაღდად გასულია ფინალში, „ამერზე" კი ჯერ იმას ვიტყოდი, რომ ცალი ფეხით ფინალში ვართ.

— შარშან „ამერმა" თასი მოიგო, წლეულსაც ალბათ ფინალში გავა — მიგაჩნია, რომ სათასო გუნდად ყალიბდებით?

— ასე არ ვიტყოდი, ჩემპიონატში ახლა მესამე ადგილზე ვართ და ჯერ არაფერია დამთავრებული, ჩემპიონობის თუ არა, მეორე ადგილზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს.

— გასაგებია, მაგრამ „ამერი" ჩემპიონატში ერთობ არასტაბილურად გამოდის — ეს რისი ბრალი უნდა იყოს?

— არ ვიცი, ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

— ბოლო დროს ბევრი გოლი რომ ვერ გაგაქვს, ამაზე რას იტყოდი?

— გოლების გატანას მართლაც მოვუკელი, თუმცა ვფიქრობ, ამის გამოსწორებას მოვახერხებ. მთავარი გუნდის წარმატებაა, ხშირად უკან ვიხევ და საგოლე პასებზე ვაკეთებ აქცენტს, მაგრამ გოლის გატანა სულ სხვაა. მეორე წრეში „დინამოსთან" 1:2 რომ წავაგეთ, ბოლო წუთებზე მეორე გოლიც უნდა გამეტანა პენალტით, მაგრამ ეს ვერ შევძელი, არადა, მატჩი ფრედ რომ დასრულებულიყო, ჩემპიონატში ახლა სულ სხვა ვითარება იქნებოდა.

— თასის თემას დავუბრუნდეთ. მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე შენარჩუნებაო, ამბობენ. რას ფიქრობ, წლეულს როგორ იქნება?

— შარშან უმეტესობას ეგონა, თასს „ზესტაფონი" მოიგებსო, მაგრამ... სტატისტიკურად, მიღწეულის შენარჩუნება უფრო ძნელია, თუმც რა მოხდება წლეულს, ამას 26 მაისის საღამოს გეტყვით.

— ამ სეზონში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონა?

— თბილისის „დინამო", ეს გუნდი კარგ მოედანზე რომ თამაშობდეს, უკეთესადაც წარმოაჩენდა თავს. „მიხეილ მესხის" მინდორზე ძალიან ძნელია შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

— „ამერის" სათამაშო სტილი რამდენად მიმზიდველად გეჩვენება?

— „ამერი" ისეთ ფეხბურთს თამაშობს, როგორიც სჭირდება. ხშირად ყოფილა, საინტერესო ფეხბურთი არ გვიჩვენებია, მაგრამ მოგვიგია. საინტერესო თამაში იქ ვაჩვენეთ, სადაც საჭირო იყო — თასის შარშანდელ ფინალში, „ჰერტასთან", „ბანანცთან" ერევანში...

— შარშანდლიდან ბევრს ლაპარაკობენ „ამერის" 19 წლის ფორვარდ რატი წინამძღვრიშვილზე...

— რატი თუ ძალიან მოინდომებს, დიდ ფეხბურთს ითამაშებს. მას ამის ნიჭი ნამდვილად აქვს და ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. თუ ყველა მატჩი ისე ითამაშა, როგორც ახლა „სიონთან", ყველაფერი კარგად წაუვა.

**დავით თამართქილაძე**

# 7 ათასი პატრონს ჩაბარდა



**გუშინ** პროფლიგაში წამახალისებელი ლატარიის პირველი გამარჯვებული დააჯილდოვეს — ავთანდილ ყაველაშვილმა, ვინც წინა კვირის გათამაშების 11 მატჩის შედეგი გამოიცნო პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილისგან 7 ათასი ლარი ჩაიბარა.

— ბედნიერი და პროფლიგის მადლობელი ვარ. ახლა კიდევ უფრო დავინტერესდი საქართველოს ჩემპიონატით და მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებ ამ ლატარიაში მონაწილეობას — თქვა გამარჯვებულმა.

7 ათასი ლარი, შეგახსენებთ, ჯეკპოტით შეგროვდა. თითოეულ ტურზე ლატარიის საპრიზო ფონდი ათასი ლარია და ვინაიდან ყაველაშვილამდე ვერავის მოეგო, მოგება 7 ათასამდე გაიზარდა. ახლა ყველაფერი თავიდან დაიწყება და მომავალი გათამაშების შედეგების გამოცნობისთვის პრიზი ისევ ათასი ლარი იქნება.

— ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა, ეს არის პროფლიგის ლატარიის სლოგანი და აგერ, დღეს პირველი გამარჯვებულიც დავაჯილდოვეთ. მადლობა ჩვენს სპონსორებს, სწორედ მათი დამსახურებაა ამ ლატარიის გათამაშება. იმედი გვაქვს, მომავალში ჩვენი ლატარიით კიდევ ბევრი ქომაგი დაინტერესდება, რაც ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშემწყობი იქნება — დასძინა დიმიტრი რამიშვილმა.






**21 აპრილი, 21-ე ტური**

ვიტ ჯორჯია — ბორჯომი
ოლიმპი — ჩიხურა
მერანი — ბათუმი
ლოკომოტივი — თბილისი
ზესტაფონი — დილა
კახეთი — ამერი
სიონი — ტორპედო
მესხეთი — მგლები
სამტრედია — მეშახტე
ნალჩიკი — ლოკომოტივი
კრივბასი — მეტალისტი

# ადგილზე ნაბიჯით იარ!

**FIFA** Coca-Cola **WORLD RANKING**

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | იტალია | 1604 | | | | |
| 2 | 1 | არგენტინა | 1594 | 11 | 11 | უკრაინა | 1021 |
| 3 | 3 | ბრაზილია | 1520 | | | | |
| 4 | 4 | საფრანგეთი | 1496 | 19 | 16 | შოტლანდია | 885 |
| 5 | 5 | გერმანია | 1393 | | | | |
| 6 | 7 | ჰოლანდია | 1302 | 85 | 85 | საქართველო | 375 |
| 7 | 8 | პორტუგალია | 1292 | | | | |
| 8 | 6 | ინგლისი | 1278 | 89 | 76 | ლიტვა | 356 |
| 9 | 10 | ესპანეთი | 1237 | | | | |
| 10 | 9 | ჩეხეთი | 1169 | 179 | 182 | ფარერები | 32 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

**მარტში** გამართული ორი შესარჩევი მატჩის შედეგთა მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს ფიფას რეიტინგში კვლავაც 375 ქულა აქვს და ისევ 85-ე ადგილზეა. თუმც ჩვენებმა მაინც გადაუსწრეს ჯგუფის ერთ მეტოქეს, ლიტვას, რომელმაც 69 ქულა მოიკლო და 13 ადგილით ჩაქვეითდა. ჩვენს სხვა მეტოქეებსაც საკმაო ცვლილებები აქვთ: იტალიის ნაკრებმა 12 ქულა შეიმატა და არგენტინელთა მიერ ჩამორთმეული პირველობა დაიბრუნა. ფრანგებს 19 ქულა კი ჩამოაკლდათ, მაგრამ მეოთხე ადგილი შეინარჩუნეს, მე-11 პოზიციაზე დარჩა უკრაინის ნაკრებიც. სამი ადგილით დაიხია შოტლანდიამ, ფარერების ნაკრებმა კი სამი ადგილით წაიწია.

პირველ ათეულში იგივე გუნდები არიან, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა გაცვალა ადგილები. ორი ნაბიჯით დაიხია ინგლისმა და წინ ჰოლანდია-პორტუგალია გაუშვა. მე-9-მე-10 ადგილები კი ესპანეთმა და ჩეხეთმა გაცვალეს.

## საქართველოს ჩემპიონატი

**პირველი ლიგა**

**II წრე. 27 ტური**

მეშახტე 0:1 გაგრა
ოლიმპი 0:0 სამტრედია
მეშაქრე 0:2 მაღაროელი
გურია 0:0 დინამო 2
მგლები 3:1 ნ. დინამოელი
ჩიხურა 2 1:0 ზესტაფონი 2
ამერი 2 1:1 რაჭა
ვიტ ჯორჯია 2 — მერცხალი
სპარტაკი — მესხეთი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 26 | 20 | 2 | 4 | 46:15 | 62 |
| მესხეთი | 25 | 17 | 4 | 4 | 46:14 | 55 |
| ოლიმპი (თბ) | 27 | 13 | 6 | 8 | 46:29 | 45 |
| მეშაქრე | 27 | 12 | 8 | 7 | 31:24 | 44 |
| მაღაროელი | 27 | 12 | 7 | 8 | 38:27 | 43 |
| ამერი 2 | 27 | 11 | 10 | 6 | 42:30 | 43 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 26 | 12 | 6 | 8 | 41:22 | 42 |
| გაგრა | 27 | 12 | 5 | 10 | 35:31 | 41 |
| სამტრედია | 27 | 10 | 8 | 9 | 26:33 | 38 |
| ნ. დინამოელი | 26 | 11 | 4 | 11 | 38:38 | 37 |
| მეშახტე | 26 | 10 | 5 | 11 | 38:33 | 35 |
| დინამო 2 | 27 | 9 | 7 | 11 | 45:29 | 34 |
| ზესტაფონი 2 | 26 | 7 | 10 | 9 | 24:26 | 31 |
| ჩიხურა 2 | 27 | 8 | 4 | 15 | 25:48 | 28 |
| რაჭა | 26 | 6 | 9 | 11 | 26:40 | 27 |
| სპარტაკი | 26 | 7 | 3 | 16 | 16:37 | 24 |
| გურია | 27 | 5 | 6 | 16 | 23:56 | 21 |
| მერცხალი | 26 | 2 | 4 | 20 | 16:70 | 10 |

# ისევ გერმანია მსურს

## ლევანი ლინენთან აღარ დარჩება



**ლევან ცქიტიშვილის** „პანიონიოსი“ პირველ წრეში საბერძნეთის ჩემპიონატის მაჩანჩალა გუნდი იყო. მაშინ პანიონიოსელთა გერმანელი მწვრთნელი ევალდ ლინენი ჩვენებურს ძირითადში ძალიან იშვიათად ათამაშებდა, ზამთრის შესვენების შემდეგ კი ლევანი გუნდის ერთ-ერთი წარმმართველი მოთამაშე გახდა და მთლიანად „პანიონიოსიც“ მოფერიანდა — ახლა მეხუთე ადგილზეა.

„ჩვენს წინასვლას განსაკუთრებული მიზეზი არ აქვს, უბრალოდ, გუნდი ახლა კარგ ფორმაშია და უკეთესად ავთამაშდით“ — გვითხრა ცქიტიშვილმა.

ლინენი მას ახლა ფორვარდების უკან ათამაშებს და პენალტების დარტყმაც მას მიანდო. მაგრამ რატომ არ ენდობოდა გერმანელი მწვრთნელი ჩვენებურს პირველ წრეში?

„ლინენთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, ის კარგი მწვრთნელი და კარგი ადამიანია, მასთან არანაირი გაუგებრობა თუ კამათი არ მქონია, ეგ კი იყო, რომ თავიდან ადაპტაცია გამიჭირდა. „პანიონიოსთან“ კონტრაქტს ისე მოვაწერე ხელი, კლუბს კარგად არ ვიცნობდი, მისი ინფრასტრუქტურა, ბაზა და მოედნები ნანახი არ მქონდა. რასაც ველოდი, სულ სხვა ვითარება დამხვდა“ — განგვიმარტა ლევანმა.

30 წლის ცქიტიშვილს, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 43 მატჩი უთამაშია და 2 გოლი გაუტანია, „პანიონიოსთან“ კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება.

„ამ გუნდში ან სხვა რომელიმე ბერძნულ კლუბში თამაში აღარ მსურს. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუმც გერმანიაში დაბრუნების სურვილი კი მაქვს“ — გვითხრა ცქიტიშვილმა, რომელიც მანამდე გერმანულ „ვოლფსბურგში“ და „ფრაიბურგში“ თამაშობდა.

იანვარში ცქიტიშვილი შოთა არველაძის „ალკმაარში“ მივიდა, თუმც ჰოლანდიელებთან პირობებზე ვერ შეთანხმდა და „პანიონიოსში“ დაბრუნდა. იყო კი ეს სწორი ნაბიჯი?

„არ ვიცი, ახლა ამას აზრი აღარ აქვს. თუ სად გავაგრძელებ თამაშს, სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება“.

ცქიტიშვილს გიორგი განუგრავაზეც ვკითხეთ, რომელიც ბერძნულ გრანდ „პანათინაიკოსში“ იყო გასინჯვაზე და მისი ამ გუნდში ტრანსფერის საკითხი ჯერაც გაურკვეველია.

„განუგრავა მხოლოდ ერთხელ ვნახე საბერძნეთში, მერე კი აღარ შემხმიანებია, მასზე სხვას ვერაფერს გეტყვით“ — გვითხრა ლევანმა.

**დავით თავართქილაძე**

# წლეულს მხოლოდ დუბლები

## ოთარ მარცვალაძის და კიევის სურვილი ემთხვევა: განათხოვრება

**ოთარ მარცვალაძე** ტრავმამ ძალიან გააწვალა. ქართველ ფორვარდს ორ თვეზე მეტი გაუცდა მუხლის დაშავების გამო, ახლაც ტრავმის კვალი აქვს და ამიტომაც ვარჯიშობს კიევის „დინამოს“ დუბლებში.

„ჯერ ისე სრულყოფილად არ გამოვჯანმრთელებულვარ, რომ „დინამოს“ პირველი გუნდის ძირითადში ვითამაშო. ნელ-ნელა ვეჩვევი დატვირთვას, მომავალ ტურში კი დუბლშემადგენლობაში თამაში შემეძლება. დავით იმედაშვილი და კახა ალადაშვილიც დუბლებში არიან ჩემთან ერთად“ — გვითხრა ოთარმა.

ჩვენი მხრივ გეტყვით, რომ წლეულს მარცვალაძე კიეველებს სამიდან ვერცერთ შეკრებაზე ვერ გაჰყვა, ხოლო „დინამოს“ ძირითად გუნდში მხოლოდ ერთხელ, ისიც ამხანაგურ მატჩში ითამაშა და გაიტანა.

უკრაინული სეზონის დასრულებამდე ბევრიც არაფერი დარჩა და მარცვალაძემ გვითხრა, აწი დუბლებით მომიწევს დაკმაყოფილებაო.

მაგრამ, როდემდე დუბლები? 22 წლის ქართველი ფორვარდი ფიქრობს, რომ კიეველები მას სხვა უკრაინულ გუნდში გაანათხოვრებენ.

„განათხოვრებაზე პირადად ჩემთან არ ულაპარაკიათ, მაგრამ ვიცი, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ამას აპირებს. კიევის „დინამო“ უკრაინაში საოცნებო გუნდია, მაგრამ მე პირიქით, გამიხარდება, თუ ისეთ გუნდში გამიშვებენ, სადაც სათამაშო პრაქტიკა მექნება. წესით, სხვა უკრაინული კლუბის ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ უნდა შემექმნას“ — გვითხრა მარცვალაძემ, ვინც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ბოლოს ოქტომბერში, იტალიასთან მატჩში ითამაშა და ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ერთი სული მაქვს, ნაკრებში როდის დავბრუნდებიო.

**ილია ნანოგაშვილი**



# იაშვილს უცნობ ინგლისს ნაცნობი გერმანია ურჩევნია




**გერმანული** „კიკერი“ წერს, არ არის გამორიცხული, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა ნისლიან ალბიონს მიაშუროს და კარიერა ერთ-ერთ ბრიტანულ კლუბში გააგრძელოსო.

იაშვილს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. მისი გადაბირების მსურველთა სია კი თანდათან გრძელდება: „ბოხუმი“, „ალემანია“, „მაინცი“, „ვოლფსბურგი“, ფრანგული „ოსერი“ და უცნობი ინგლისური კლუბი.

თავად იაშვილის სურვილი კი გერმანიაში დარჩენაა. იგი „ალემანიაში“ თამაშს გამორიცხავს და მაინცდამაინც არც „მაინცი“ ეხატება გულზე, რადგან ეს კლუბი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ერთ-ერთი კანდიდატია. თუ გამორიცხვის მეთოდს მივყვებით, ყველაზე რეალურ კანდიდატებად „ვოლფსბურგი“ და „ბოხუმი“ რჩებიან. „კიკერის“ ცნობით, იაშვილი უკვე აწარმოებს ერთ-ერთ კლუბთან მოლაპარაკებას, თუმც რომელთან, ჯერჯერობით არ აკონკრეტებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მოდებაძეს რინკონის ხელი მოხვდა

**ილიჩევეცის** „მარიუპოლის“ და კიევის „დინამოს“ დუბლიორთა მატჩისას დინამოელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა დიოგო რინკონმა ჩვენებურ გიორგი ციმაკურიძეს სახეში უთავაზა. შელაპარაკების შემდეგ რინკონს სურდა, შებრუნებული ქართველისთვის ზურგში ჩაერტყა, მაგრამ ციმაკურიძე ამ დროს შემობრუნდა და ხელი სახეში მოხვდა.

„როდესაც დედეჩკო წავაქციე, მასთან მივედი და მოვუბოდიშე. რინკონს კი სურდა, ეჩვენებინა, რომ დიდი ვინმეა. ჯერ ჟესტებით მიჩვენა რაღაც, შემდეგ კი ისე მომვარდა, თითქოს რინგზე ვიყავით. მე პროფესიონალი ვარ და მუშტებითვე არ ვუპასუხე. როდესაც შემცვალეს, მოედნის დატოვებისას რინკონს შევეფეთე, მან ინგლისურად მომიბოდიშა და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მაგრამ, ვიმეორებ, ის მართალი არ იყო“ — განუცხადა ჟურნალისტებს ციმაკურიძემ.

დედეჩკოსთან შეჯახებისას ქართველმა მცველმა ტრავმა მიიღო და ამიტომაც შეცვალეს. ციმაკურიძე ჯერჯერობით უქმობს. ექიმები ვარაუდობენ, რომ მალე გამოჯანმრთელდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

FedCup

ფედერაციის თასი. ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფი
ფინიკსი, მავრიკეთი. 17–20 აპრილი

# გალიაში ბოსნიასთან ერთად

## პორტუგალიამ ქართველებს არჩევანი მოუსპო

**ჯგუფური ეტაპი**

**B ჯგუფი**

საქართველო 2:0 ნორვეგია
1:0 ოქსანა კალაშნიკოვა — იდუნ ჰერტზბერგი 6:1 6:2
2:0 მაკა ჩახნაშვილი — კეიროლ სტეირო 7:5 6:4

პორტუგალია 2:0 ბოსნია
1:0 ნეუზა სილვა — დიანა სტოჟიჩი 6:3 6:3
2:0 ფრედერიკა პიედადე — სანდრა მარტინოვიჩი 6:1 6:1

პორტუგალია 3:0 საქართველო
1:0 სილვა — კალაშნიკოვა 7:5 6:4
2:0 პიედადე — ჩახნაშვილი 6:2 6:4
3:0 მაგალი დე ლატრე, ანა-კატარინა ნოგუეირა — ეკა გორგოძე, სოფო ქვაცაბაია 6:4 3:6 6:3

ბოსნია 3:0 ნორვეგია
1:0 სტოჟიჩი — ჰერტზბერგი 6:0 6:2
2:0 მარტინოვიჩი — სტეირო 7:5 6:7 6:1
3:0 ნადინა სეგერბეგოვიჩი, სტოჟიჩი — ემა ფლოოდი, ჰენე ანდერსენი 6:3 6:4

**A ჯგუფი**

საბერძნეთი 2:0 ფინეთი
1:0 ანა კოუმანტუ — ესი ლაინი 6:4 7:5
2:0 ანა გერასიმუ — პია სუომალაინენი 6:3 7:5

ფინეთი 1:2 სამხრეთ აფრიკა
0:1 ლიზან დუ პლესისი — ლაინი 7:5 6:1
1:1 სუომალაინენი — სურინა დე ბეერი 1:6 6:1 6:1
1:2 კელი ანდერსონი, დე ბეერი — ლაინი, სუომალაინენი 6:4 6:4

ინდოეთის ოკეანეში, დიდ კუნძულ მადაგასკარის აღმოსავლეთით მდებარე კუნძულ მავრიკეთზეფედერაციის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩები გუშინწინ წვიმის გამო გვარიანად გაჯანჯლდა, ჯგუფურ ეტაპზე, მხოლოდ თითო შეხვედრის გამართვა მოესწრო და გუშინ კი გამოიდარა, მაგრამ ცაიტნოტური ვითარების გამო პირველი წრის მატჩები შეკვეცილი გამოვიდა — რადგანაც ერთეულთა შეხვედრების შემდეგ ყველაფერი ნათელი იყო, წყვილთა თამაშები აღარ ჩატარებულა.

ჩვენმა ნაკრებმა, რომლის კაპიტანიც ლალი ზერეკიძეა, პირველი ტურის მატჩში იოლად დაამარცხა ნორვეგია — გუშინწინ ოქსანა კალაშნიკოვამ და გუშინ მაკა ჩახნაშვილმა ორ-ორ სეტში იმარჯვეს, მაგრამ მეორე ტურში ქართველები, უკვე თავად დამარცხდნენ პორტუგალიელებთან. კალაშნიკოვამ რეიტინგში მასზე გაცილებით მაღლა, 336-ე ადგილზე მდგომ ნეუზა სილვას, ასე თუ ისე, რაღაც წინააღმდეგობა მაინც გაუწია და ჩახნაშვილმა კი, ვისაც კლასიფიკაციაში 145-ე ადგილი უჭირავს, 281-ე პოზიციაზე მყოფ ფრედერიკა პიედადესთან 2:6 4:6 წააგო.

შედეგად, ჩვენს ჯგუფში პორტუგალიამ, უკვე ორი ტურის შემდეგ გაინაღდა პირველი ადგილი და ქართველებს კი ნახევარფინალში გასასვლელი მეორე ადგილისთვის დღეს ბოსნიელებთან მოუწევთ ბრძოლა, რომლებმაც, ჩვენი არ იყოს, ნორვეგიელებს აჯობეს და პორტუგალიელებთან წააგეს.

თუკი საქართველოს ნაკრები ბოსნიას მოუგებს და ნახევარფინალში გავა, იქ, სავარაუდოდ, საბერძნეთს შეხვდება, რაც საუკეთესო ვარიანტი ნამდვილად არ არის, მაგრამ პორტუგალიამ არჩევანის საშუალება მოგვისპო და დღეს მთავარი ბოსნიელთა დამარცხებაა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანა დოთენის ბადეში

**17 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალაბამას შტატის ქალაქ დოთენის თიხაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 75-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გააღწია. საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე წრეში ანამ იოლად — 6:4 6:0 მოუგო კვალიფიკანტთა შორის მე-6 ნომრად განთესილ 18 წლის არგენტინელ ბეტინა ხოზემის, ვისაც WTA-ს რეიტინგში 238-ე პოზიცია უჭირავს.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ტატიშვილის მეტოქე 19 წლის რუსი ალა კუდრიავცევა იქნება, ვინც კლასიფიკაციაში ამ წუთისთვის 118-ეა, იანვარში კი პირველ ასეულში — 93-ე ადგილზე იყო.

თუ კუდრიავცევას მოუგებს, მერე ტატიშვილის მოწინააღმდეგე ან რეიტინგის 72-ე ნომერი, ამერიკელი შენაი პერი იქნება, ანაც კიდევ ერთი რუსი ეკატერინა აფინოგენოვა, ვინც ძირითად ბადეში ქართველის დარად, საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოხვდა.

ანამ კუდრიავცევასთან რომც წააგოს, რეიტინგში ქულებს მაინც შეიმატებს, რადგანაც კვალიფიკაციაში მასზე რანგით მაღლა მდგომებს — ხოზემისა და ამერიკელ ანჯელა ჰეინსს მოუგო.

მონტე კარლოს მასტერსი. კაცები. თიხნარი. საპრიზო 2 200 000 $

**მეორე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (5, სერბეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1 3:6 6:1; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) – ფერნანდო გონზალესი (4, ჩილე) 6:2 2:6 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (16, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:2 6:0; **ტომი რობრედო** (5, ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:1 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 7:5 6:4; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (3, რუსეთი) 6:4 6:7 6:3; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:4 1:6 6:3; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — მარატ საფინი (რუსეთი) 0:6 7:6 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3 6:1


AFP მონტე კარლოდან

# ნადალი მესამე წრეზე

**თიხნარზე** გრძელდება რაფაელ ნადალის საქმენი საგმირონი — ესპანელ ვარსკვლაბიჭუნას უკვე მესამე წავიდა, თიხნარზე არ წაუგია და ეს ჯერჯერობით აზრდაც არ მოსდის. გრუნტზე წაუგებელი მატჩების სერია პირინეელმა გუშინ 63-მდე აიყვანა და ისეთი თამაში აჩვენა, რომ მისი გამჩერებელი ძნელად თუ გამოჩნდება ვინმე. ესპანელის მორიგი მსხვერპლი ხუან-იგნასიო ჩელაა, რომელსაც რაფამ „დიდსულოვნად“ დაუთმო ოთხი გეიმი და მესამე წრეში სულ ნარნარით გავიდა.

აქ ესპანელის მეტოქე კრისტოფ ვლიგენი იქნება, რომელმაც პატარა გმირობა ჩაიდინა და თითქმის წაგებული მატჩი შემოუტრიალა მარატ საფინს. პირწმინდად წაგებული პირველი სეტის შემდეგ ბელგიელს კარგად არც მეორე პარტიაში მისდიოდა საქმე — რის შედეგადაც რუსს ორი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მარატი ჩვეულად ზერელედ მოეკიდა საკუთარ შანსს, რითაც ბელგიელმა მშვენივრად ისარგებლა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტ პარტიაში ვლიგენს აშკარა ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა, მაშინ, როცა საფინი ბრიყვული შეცდომებითღა გამოირჩა, რისი ლოგიკური შედეგიც ბელგიელის გამარჯვება იყო.

ისე, გუშინ ფავორიტებს მაგრად არ გაუმართლათ — ბობოლებმა ძალიან უილბლოდ ითამაშეს და მონტე კარლოსაც ხელი დაუქნიეს. უპირველესად მესამე ნომერ ნიკოლაი დავიდენკოს მარცხი გამოვყოთ, რომელმაც ბევრი კი იბრძოლა რობინ სოდერლინგთან, ორი მატჩ-პოინტიც ამოუქაჩა და საქმე მესამე სეტამდე მიიყვანა, მაგრამ შვედმა მაინც თავისი გაიტანა და ტურნირის ჯერჯერობით უმთავრეს სენსაციასაც უავტორა.

აი, მეორე რუსი, იგორ ანდრეევი თავად გახლდათ მოულოდნელობის შემოქმედი — ამ ბიჭმა წლის პირველი სლემტურნირის ფინალისტ ფერნანდო გონსალესს აზადა სკალპი. ჩილელი ავსტრალიის შემდეგ ძალიან ცუდად გამიყურება — მელბურნ-პარკზე ნაჩვენები სუპერჩოგბურთიდან სამხრეთამერიკელს აღარაფერი შემორჩა, რის გამოც გონსალესი უკვე ორი-სამი წრის გავლასაც ვეღარ ახერხებს.

სამაგიეროდ, ნოვაკ ჯოკოვიჩი ყოველ კვირა ამტკიცებს, რომ წლეულს ტოპ-ათეულში მყარად დამკვიდრებას აპირებს. ახალგაზრდა სერბი ჩოგბურთელთა იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც თითქმის ერთნაირი სიძლიერით თამაშობს, როგორც ჰარდზე, ისე გრუნტზე და ამიტომ უახლოეს ორ თვეში ამ ბიჭისგან მორიგ წარმატებებს უნდა ველოდეთ. მონტე კარლოში კი ბალკანელმა „როლან გაროსის“ სამი წლის წინანდელ გამარჯვებულ გასტონ გაუდიოსთან შეხვედრით დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ თიხის ერთ-ერთ უდავო სპეციალისტს ხვდებოდა, მთლიანობაში ძალიან დამაჯერებლად იმარჯვა.

გამარჯვებით დაიწყო თავისი კამპანია გრუნტის კიდევ ერთმა ფლაგმანმა ტომი რობრედომ, რომელმაც იოტისოდენა შანსიც არ მისცა თითქმის სახლში მოთამაშე არნო კლემანს. მისი გუშინდელი თამაშიდან გამომდინარე, ეს ესპანელი ნადალის ტრიუმფალური სვლის სავარაუდო შემჩერებელთა სიაში აუცილებლად უნდა ჩავწეროთ.

**კახა ლომჯარია**

# ჩინელებს შეეშალათ

**ბრიყვულ** მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩინეთის ჩოგბურთის ფედერაცია — იქ ან წესიერი თარჯიმნები არ ჰყავთ, რომლებსაც ITF-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) წესების სწორად თარგმნა შეეძლებათ, ანაც უგნურები მუშაობენ, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ წესების სწორად გაგება.

საქმე კი შემდეგშია — ფედერაციის თასის მეოთხედფინალის წინ, რომელშიც ჩინელები მოქმედ ჩემპიონ იტალიას ხვდებიან, აზიელებმა ნაკრების შემადგენლობაში არ შეიყვანეს ლიდერები ნა ლი და ჩენ ცი და მათი ადგილი ორ სხვა, ნაკლებად ცნობილ ჩოგნის მქნეველს დაუთმეს.

თქვენ იკითხავთ წესები რა შუაშიაო? რა და იმაში, რომ ჩინელებს ჰგონებიათ, რომ ჩოგბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ოლიმპიადაზე თამაშის უფლება, თუ ფედერაციის თასზე ნაკრების შემადგენლობაში აქვს ნათამაშევი. ხოლა, ჩინელებმა ზემოთ ნახსენები ორი ჩოგბურთელი მხოლოდ იმიტომ შეიყვანეს შემადგენლობაში, რომ მათ პეკინის ოლიმპიადაზე თამაშის საშუალება ჰქონოდათ.

ITF-ის წარმომადგენლების თქმით კი წესებში ასეთი არაფერი წერია — მათი განმარტებით, სულაც არ არის აუცილებელი ნაკრების შემადგენლობაში ნათამაშევი აქვს ჩოგბურთელს თუ არა, მთავარია, ამ შემადგენლობაში ერთხელ მაინც იყოს დასახელებული. ჩინური ჩოგბურთის „მამებს“ კი ახლა შეუძლიათ თავში ხელი შემოირტყან, მაგრამ ამით საქმეს მაინც ვერ უშველიან — საკუთარი სიბრიყვის გამო მოქმედ ჩემპიონთან დაპირისპირება ნაკრების უდავო ლიდერების გარეშე მოუწევთ.

**კახა ლომჯარია**

# საქართველოს ჩემპიონატი

# მაჩალაძემ „კოლინას" ნაბადი მოისხა

## გაბედავას გაბედული ქურიძემ დაამტკიცა



**18 აპრილი**
**ვერის ბაღი**

**სტუ 99:87 თსუ**
*31:19 21:22 26:31 21:15*
სტუ: კოხრეიძე (11), ბერაია (16), ბარბაქაძე (29), მაისურაძე (17), ახალკაცი (22); ძიძიგური (4), ლ. ნოზაძე, სეფისკვერაძე, ეძგვერაძე
თსუ: არწივიძე, ლეჟავა (20), ფანჩულიძე (16), მ. ბერიშვილი (13), ტყეშელაშვილი (6); ბ. ბერიშვილი (11), შანიძე (15), მარხვაშვილი (4), ვეფხვაძე (2)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

**ავიამშენი 109:69 მაკაბი**
*26:16 20:11 27:20 36:22*
ავიამშენი: ი. ბერიშვილი (17), ხოშტარია (14), მოსეშვილი, ბაბიაშვილი (15), როდუმტა; სუხიშვილი (14), დ. ბერიშვილი (13), კვიმსაძე (11), კეიდია (11), ნიკოლაძე (14)
მაკაბი: დოლიძე (6), კორკოტაძე (3), პირველაშვილი (5), ვაშაკიძე (10), ს. შერმადინი (26); გამცემლიძე (6), ხორავა (2), ენუქიძე (2), ჯგერენაია (9), ბარსეგიანი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: მურმან ქურიძე

**აზოტი 83:64 დინამო**
*28:15 17:11 15:18 23:20*
აზოტი: ბეჟანიშვილი (11), ბოისა (11), დიდია (12), ცაკავა (3), ტულუში (3), მარკოიშვილი (10), უგრეხელიძე (8), გოგობერიშვილი (4), ჭოჭუა (7), ბერძენიშვილი (2), მალეშევიჩი (10), მინაშვილი (2)
დინამო: გულისაბედაშვილი (7), ბადრიძე, ლაფანაშვილი, სიგუა (5), წერეთელი (6), მურჯიკნელი (4), გვიმრაძე (17), ფაიქრიძე, ნ. ნოზაძე (6), კოლუაშვილი (10)
მსაჯები: დავით ბერუკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ის, რაც** გუშინ ვერის ბაღში მოხდა, ბანალური ფრაზა რომ მოვიშველიოთ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ისე, ტირილის არავის არაფერი ეტყობოდა, დარბაზში შეკრებილი მცირე ქომაგობა გულიანად იცინოდა, თუმცა იყო ეპიზოდები, როცა ყველა ერთიანად ისუსებოდა. ასე იყო თუ ისე, ყველა ერთ რამეზე შეთანხმდა: ასეთი რამ არც არასდროს გვინახავს და არც გაგვიგონიაო.

თუ არ უნახავთ, ვერც გაიგონებდნენ, რადგან ასეთი რამ ალბათ მხოლოდ საქართველოში თუ შეიძლებოდა მომხდარიყო. ეროვნული ჩემპიონატის რიგითი, არაფრის მომცემი მატჩი ჩაშლის პირას მივიდა მსაჯსა და შეხვედრის კომისარს შორის მომხდარი კამათის გამო. თამაში 30 წუთით შეწყდა, ცოტაც და ჩაიშლებოდა, თუმც დაპირისპირებულმა მხარეებმა, როგორც იქნა, მონახეს საერთო ენა და გასახდელისკენ მიმავალი ჩანთამოკიდებული კალათბურთელებიც მოედანზე დაბრუნდნენ.

...მეორე მეოთხედის შუაწელში „ავიატორი" პლასიდე როდუმტა სოსო შერმადინს ეუხეშა და ერთ-ერთმა არბიტრმა, ხათუნა გაბედავამ, არასპორტული ჯარიმა დააფიქსირა. მატჩის მთავარმა მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ გაბედავას გადაწყვეტილება შეცვალა, უბრალო ჯარიმა იყოო. მანდილოსანმა არ დათმო, მაგრამ მაჩალაძემაც არ დაიხია უკან და საქმეში კომისარი მურმან ქურიძე ჩაერთო.

კომისარი გაბედავას გადაწყვეტილებას მიემხრო, მაგრამ ვინ დაუჯერა, მაჩალაძე დადგა მოედნის კიდესთან, ბურთი მოიხელთა და თამაში აქედან გაგრძელდებაო, მკაცრი ხმით წარმოთქვა. აჰ, აჰ, აჰ — „მაკაბი" საჯარიმოებს ესვრისო, არანაკლები სიმკაცრით თქვა ქურიძემ და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...

მაჩალაძემ ჯერ რეპლიკები ესროლა კომისარს, მთავარი მსაჯი ვარ და შენ ჩემს საქმეში ჩარევის უფლება არ გაქვსო, მერე კი, როცა ქურიძემ არ დათმო, „კოლინამ" სასტვენი მოიხსნა, აჰა, შენ იმსაჯეო, უთხრა კომისარს და გასახდელში გაუჩინარდა.

ყველა სახტად დარჩა, ეს რა ხდება, მაგრამ ჯერ სად იყო, უარესებიც ვიხილეთ. ხუთიოდე წუთის შემდეგ მაჩალაძე მოედანზე დაბრუნდა და თავის პირვანდელი ადგილი დაიკავა, მაგრამ ქურიძემ თამაში საჯარიმოს ხაზიდან გაგრძელდებაო, ბრძანა. „კოლინა" კომისართან მივიდა და გამყინავი ხმით განუმარტა, რომ მას მთავარი არბიტრის გადაწყვეტილების შეცვლა არ შეეძლო. კომისრის მოვალეობა სამდივნოს მოწესრიგება და მსაჯებისთვის მხოლოდ რეკომენდაციის მიცემააო, დიდაქტიკური ტონით წარმოთქვა მაჩალაძემ.

ქურიძემ აინუნშიც არ ჩააგდო მაჩალაძის შეგონება და „კოლინაც" მეორედ და ახლა უკვე ხანგრძლივი დროით შევიდა გასახდელში. ასე გაილია ოციოდ წუთი, მოთამაშეებმა უკვე ჩანთები მოიმარჯვეს და თამაში ფაქტობრივად ჩაშლილად გამოცხადდა, როცა ქურიძე ადგა, შევიდა მაჩალაძესთან ოთახში და დაპირისპირებაც ამოიფხვრა.

„კოლინა" მოედანს დაუბრუნდა და თამაში საჯარიმოებით გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კალათბურთში მოტრიალე ხალხი იმაზე მსჯელობდა, მართებულად მოიქცა თუ არა მაჩალაძე. მცოდნენი საბოლოოდ „კოლინას" გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობაზე შეთანხმდნენ, თუმცა მაჩალაძის ემოციური საქციელი და მოედნის თვითნებურად დატოვება დაგმეს.

თამაში გაგრძელდა, მაგრამ მის დამთავრებამდე ამ ტრაგიკომედიური სცენების მეტი ხალხს არაფერი ჰქონდა სალაპარაკო. ბოლოადგილოსანი „მაკაბი" უნდა დამარცხებულიყო მოქმედ ჩემპიონთან და განადგურდა კიდეც.

ამ „მაჩალაძე-ქურიძის" დრამამ „სტუდენტურ დერბიში" მომხდარი „სენსაცია" დაჩრდილა. ბრჭყალები იმიტომ მოვიშველიეთ, რომ სტუ-ს გამარჯვება არ იყო ნაღდი და ალალი ოფლით მოპოვებული. თსუ-ს განაღდებული აქვს პლეიოფი, მისი მეტოქეც ცნობილია და თავი აღარ შეაკლა საპლეიოფოდ მებრძოლ ტექნიკოსებს — ალბათ ტრავმებს მოერიდა. სახელმწიფო უნივერსიტეტელებს სამი წამყვანი მოთამაშე — შიო ხეცურიანი, რიჩარდ მათიაშვილი, დავით იმნაძე — საერთოდ არ ჰყავდათ განაცხადში და ვინც მოედანზე იყო, თავს ძალას არ ატანდა.

თსუ თითქმის მთელი თამაში აგებდა, მაგრამ მისმა მწვრთნელმა, ისევე როგორც სტუ-ს თავკაცმა, მთელი 40 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ აიღო წუთშესვენება.

სტუ ამ მოგებით „დინამოს" გაუთანაბრდა და მეოთხე საპლეიოფო საგზურის მფლობელიც შაბათს სწორედ ამათ დაპირისპირებაში გამოვლინდება.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 22 | 21 | 1 | +538 | 43 |
| ავიამშენი | 22 | 16 | 6 | +257 | 38 |
| თსუ | 22 | 14 | 8 | +235 | 36 |
| დინამო | 22 | 6 | 16 | -258 | 28 |
| სტუ | 22 | 6 | 16 | -350 | 28 |
| მაკაბი | 22 | 3 | 19 | -456 | 25 |

**დღეს**
12.00 სტუ — ავიამშენი
14.00 მაკაბი — აზოტი
16.00 დინამო — თსუ




ქართული ოლ სტარის საინტერნეტო გამოკითხვა, რომელიც თითქმის ერთი თვე მიმდინარეობდა, გუშინწინ დასრულდა. გულშემატკივრებმა სუპერლიგის ოფიციალური საიტის მეშვეობით ის კალათბურთელები გამოავლინეს, რომლებიც ოლ სტარის ხუთეულში ითამაშებენ. მოწინააღმდეგე გუნდებს პირობითად მწვრთნელთა სახელები ჰქვიათ. მაშ ასე, ხმები ასე განაწილდა:

## დავით უსტიაშვილის გუნდი

**უკანა ხაზი** კოტე ტულუში (აზოტი) — 1976, ლაშა გამყრელიძე (აზოტი) — 1393, რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი) — 1109, გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო) — 927, გიორგი დოლიძე (მაკაბი) — 746, ზურაბ ბადრიძე (დინამო) — 727

**ფორვარდები** გიორგი მარკოიშვილი (აზოტი) — 1423, ანატოლი ბოისა (აზოტი) — 1222, რევაზ დიდია (აზოტი) — 1088, ლექსო ლაფანაშვილი (დინამო) — 919, ვლადიმერ ბეჟანიშვილი (აზოტი) — 808, დავით გვიმრაძე (დინამო) — 800, ჟოლივეტ ტუჯანი (აზოტი) — 614

**ცენტრები** დავით უგრეხელიძე (აზოტი) — 1439, გიორგი შერმადინი (მაკაბი) — 1298, ვიქტორ კოლუაშვილი (დინამო) — 700

## ლევან მოსეშვილი გუნდი

**უკანა ხაზი** ბესიკ ლეჟავა (თსუ) — 1459, ნოდარ ბერაია (სტუ) — 1175, ბუბა ბერიშვილი (თსუ) — 1102, ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) — 850, ირაკლი ბერიშვილი (ავიამშენი) — 812, გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) — 760, დავით ბერიშვილი (ავიამშენი) — 716

**ფორვარდები** შიო ხეცურიანი (თსუ) — 1421, ლუკა შანიძე (თსუ) — 1136, ზვიად ბაბიაშვილი (ავიამშენი) — 1062, ირაკლი კეიდია (ავიამშენი) — 982, გიგი ბარბაქაძე (სტუ) — 868, მიხეილ ბერიშვილი (თსუ) — 829, დავით იმნაძე (თსუ) — 576

**ცენტრები** რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) — 1400, ლუკა ნოზაძე (თსუ) — 1065, პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) — 972



კოტე ტულუში ხალხის რჩეულია

## ყველა ვარსკვლავის მატჩის სასტარტო ხუთეულები

| უსტიაშვილის გუნდი | მოსეშვილის გუნდი |
|---|---|
| კოტე ტულუში | ნოდარ ბერაია (სტუ) |
| ლაშა გამყრელიძე | ბესიკ ლეჟავა |
| გიორგი მარკოიშვილი | შიო ხეცურიანი |
| ანატოლი ბოისა | ლუკა შანიძე |
| ვლადიმერ უგრეხელიძე | რიჩარდ მათიაშვილი |
| (ყველა აზოტი) | (ყველა თსუ) |

თითოეული გუნდის დანარჩენ 7-7 მოთამაშეს მწვრთნელები თავისი სურვილისამებრ შეარჩევენ ისე, რომ თავიანთი გუნდიდან სამ კალათბურთელზე მეტის აყვანის უფლება არ ექნებათ.

ოლ სტარი 28 აპრილს, წინასწარ გამოცხადებული 3 საათის ნაცვლად, ხუთის ნახევარზე გაიმართება.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ატლანტამ უტალანტოდ დაამთავრა



ზაზა ფაჩულიამ და მისმა „ატლანტამ“ სეზონი დაასრულეს

17 აპრილი

**ატლანტა 118:102 ინდიანა**

**ატლანტა:** ლუ (25), მ. უილიამსი (23), სმიტი (25 ქულა, 13 მოხსნა), შ. უილიამსი (21 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსი (14); ე. ჯონსონი (6 ქულა, 12 პასი), აივი (4), ბატისტა

ფაჩულიას არ უთამაშია

**ინდიანა:** ტინსლი (4), დანლივი (11), გრეინჯერი (15), მერფი (9), ჰარისონი (2); დიოგუ (20), მაკლეოდი (11), გრინი (9), ბასტონი (9), უილიამსი (7), მარშალი (3), არმსტრონგი (2)

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ“ „ინდიანას“ ძლევით 30-მდე დაამრგვალა გამარჯვებათა ოდენობა და ასე დაასრულა თავისი ზედიზედ მერვე უპლეიოფო სეზონი. „ქორები“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზე გავიდნენ და მერვეადგილოსან „ორლანდოს“ 9 მოგებით ჩამორჩნენ. სეზონის ამოწურულს მათი თავკაცი მაიკ ვუდსონი იტყვის — რომ არა ტრავმები, იქნებ პლეი ოფისთვისაც გვებრძოლაო — და მიუხედავად იმისა, რომ მის ხელში აგერ მესამე წელია გუნდი განსაკუთრებული წარმატებით ვერ თამაშობს, მას მაინც ბევრი უკრავს კვერს, მტერიც და მოყვარეც და დიდად არც კლუბის ბოსები გაუწყრებიან.

დასკვნით მატჩში „ქორებს“ აკლდათ საშუალოდ 25 ქულის მბოჭავი ჯო ჯონსონი, რომლის გარეშეც ჩაატარეს ბოლო 20 შეხვედრა და მათგან 13 დათმეს. არ იყვნენ ჯოშ ჩილდრესი, სპიდი კლაქსტონი და რაც ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა, არ იყო ჩვენებური ზაზა ფაჩულია.

ნბა-ში ყველაზე წარმატებულმა ქართველმა კალათბურთელმა მარცხენა ფეხის ტრავმის გამო ბოლო ექვსი თამაშიდან ხუთი გამოტოვა, ზოგადად კი მთლიანად სეზონში 10 შეხვედრა გაუცდა. „ატლანტას“ 82 თამაშიდან ზაზამ 72-ში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 12,2 ქულა აკეთა, რაც მის ოთხწლიან კარიერაში სარეკორდო მაჩვენებელია. ფაჩულიას სტატისტიკა სრულად ასე გამოიყურება: საშუალოდ 28,1 წუთში 12,2 ქულა (მეხუთე შედეგი გუნდში), 6,9 მოხსნა (მეორე შედეგი გუნდში), 1,5 პასი, 1,1 ჩაჭრა, 0,5 დაფარება, 2,3 დაკარგვა, 3,7 დაჯარიმება. სათქმელია, რომ ზაზამ კიდევ უფრო გააკეთილშობილა საჯარიმოების ჩაგდების პროცენტი — წინა სეზონში სროლათა 73,5 პროცენტს (404-297) აგდებდა, ახლა კი 78,6 პროცენტამდე (373-293) წაიწია და სნაიპერულ 80-ს მიუახლოვდა. ბოლოს კი მოგახსენებთ, რომ ზაზა ფაჩულიამ „ატლანტაში“ მეორე სეზონი მოილია და კონტრაქტით კიდევ სამი წელი ეკუთვნის ამ გუნდს.

**კოტე ყორშია**

# ოქროსშტატელთა ხალასი დალასი

**გოლდენ სტეიტი 111:82 დალასი**

**გოლდენ სტეიტი:** პიეტრუსი (22), ბარნსი (19 ქულა, 12 მოხსნა), რიჩარდსონი (14)

**დალასი:** აგერი (20), ბარეა (13 ქულა, 10 მოხსნა), ჰარისი (13)

**ფინიქსი 99:103 კლიპერსი**

**ფინიქსი:** ბარბოსა (22), ბელი (17), დიაუ (17)

**კლიპერსი:** ბრენდი (21), ტომასი (18), ჰარტი (16), როსი (15)

**დეტროიტი 100:84 ტორონტო**

**დეტროიტი:** მიურეი (16), ჰამილტონი (12), დელფინო (12)

**ტორონტო:** შლოკარი (16), პიტერსონი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**ვაშინგტონი 89:95 ორლანდო**

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (48), ჰეიესი (15)

**ორლანდო:** თურქოღლუ (26), ჰოვარდი (17 ქულა, 12 მოხსნა), ჰილი (13)

**ფილადელფია 92:98 კლივლენდი**

**ფილადელფია:** გრინი (24), სმიტი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**კლივლენდი:** ჰიუზი (22), ჯეიმსი (18), ილგაუსკასი (14)

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოხწინა დღემ ვერ გასცა პასუხი ყველა კითხვას. ჯერაც ვერ გაირკვა პლეი ოფის ბოლო მონაწილის ვინაობა. კალიფორნიის ორ ქალაქში — ლოს ანჯელესსა და ოკლენდში ბევრს დააწყდა ნერვები ამ ბოლო დღეებში. „ლოს ანჯელეს კლიპერსი“ თუ „გოლდენ სტეიტი“? აი, მთავარი კითხვა. გამარჯვება ორივეს ჰაერივით სჭირდება. მაგრამ პირველი მაინც უფრო წამგებიან პოზიციაშია, კონკურენტზე ერთი მოგებით ნაკლები აქვს და მის შედეგზეა დამოკიდებული. „კლიპერსს“ „გოლდენ სტეიტთან“ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა კი აქვს, მაგრამ რეგულარულის ბოლო დღეს, 18 აპრილს ამ უკანასკნელმა გასვლაზე „პორტლენდს“ რომ მოუგოს, „კლიპერსის“ მატჩი „ნიუ ორლეანთან“ აზრს დაკარგავს.

„გოლდენ სტეიტი“ კი გენერალური ბრძოლისთვის ილესავს კბილებს და წესით არ უნდა გაუჭირდეს „პორტლენდის“ მოშთობა იმის გათვალისწინებით, რომ ამ სამშაბათს თვით „დალასი“ დაამარცხა. მართალია ასოციაციის უძლიერეს გუნდს ბარე სამი ვარსკვლავი აკლდა — დირკ ნოვიცკი, ჯოშ ჰოვარდი და ჯერი სტეკჰაუსი, მწვრთნელმა აივერი ჯონსონმა ჯეისონ ტერის გარდა ყველა გამწევი კალათბურთელი დაასვენა და ასეთი უხერხემლო გუნდი წარუდგინა მოედანზე დამშეული მხეცივით შემოვარდნილ „გოლდენ სტეიტს“. ასე რომ, გოროზი ტეხასელების 29-ქულიანი მარცხი დიდ მოულოდნელობად არ ჩაითვლება. ჯონსონის გონება ახლა სულ სხვაგან ქრის — შარშან ლამის შეგნებულად წაგებული ფინალის შემდეგ წელს მან აუცილებლად უნდა გახადოს თავისი გუნდი ჩემპიონი და მხოლოდ პლეი ოფზე ფიქრობს.

ბედის ირონიით „დალასი“ პირველ წრეში სავარაუდოდ სწორედ ამ „წყეულ“ „გოლდენ სტეიტს“ ეტაკება, რომელთანაც ამ რეგულარულში სამივე თამაში დათმო. შეიძლება ითქვას, ეს სრული ანომალიაა, რაკი წლეულს „დალასმა“ სულ 15 თამაში წააგო და დიდად არ ეპიტნავება საჩემპიონო მარათონის ასეთ მოუხელთებელ მეტოქესთან შეხვედრით დაწყება. ვაიდა, პლეი ოფშიც არაფერი გამოუვიდეს?! დალასში ამის გაფიქრებაც კი ზარავთ.

**კოტე ყორშია**





# ვარსკვლავური საჩუქარი

**ევროპის** ჩემპიონატმოვლილი ძიუდოისტები გუშინ დეველოპერული კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ ოფისში შეიკრიბნენ და კომპანიის პრეზიდენტ **ზაზა რაზიკაშვილისგან** ფულადი პრემიები მიიღეს. ბელგრადის ჩემპიონ-პრიზიორების — ზაზა კედელაშვილის, ნესტორ ხერგიანის, დავით ქევხიშვილის, ირაკლი ცირეკიძისა და ლაშა გუჯეჯიანის გარდა თანხა მედლების ვერმომგებ, მაგრამ რიგიანად მოჭიდავე ნაკრების დებიუტანტებს, გიორგი ბაინდურაშვილსა და ლევან ჟორჟოლიანსაც გადასცეს.

დაჯილდოვებამდე მასპინძლებმა ტკბილეულით გაშლილ სუფრასთან მიგვიწვიეს. შამპანური, რაღა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონმა გახსნა.

**ზაზა *კედელაშვილი*:** „დიდი მადლობა „ოლიმპიურ ვარსკვლავს“, რომელიც უყურადღებოდ არც ერთ ჩვენს წარმატებას არ ტოვებს. ამ კომპანიის დამფუძნებლები თავად არიან ოლიმპიური ჩემპიონები, პრეზიდენტიც სპორტსმენი იყო. მშვენივრად იციან, რა შრომის ფასად ვაღწევთ გამარჯვებებს და სათანადოდაც გვიფასებენ“.

მთავარი სტიმული ძიუდოისტებისა და სხვა სახეობის სპორტსმენებისთვის „ოლიმპიური ვარსკვლავისგან“ დაწესებული საცხოვრებელი ბინებია, რომლებითაც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები დასაჩუქრდებიან. ზაზა რაზიკაშვილმა გუშინდელი დაჯილდოვება ქართული სპორტის მხარში დგომის ერთ ფრაგმენტად მოიხსენია — ჯერჯერობით მხოლოდ ფულადი პრიზები იყოს, წინ კი ოლიმპიადააო

ამ დღეებში ქართულ სპორტში ყველაზე აქტუალური მოჭიდავეთა ევროპირველობაა. მასზე თავის გამოჩენის შემთხვევაში „ოლიმპიურ ვარსკვლავში“ უკვე მოჭიდავეებს უმასპინძლებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## ევროპის ჩემპიონატი

### სოფია, ბულგარეთი. 17-22 აპრილი

# ქართული ევროპა დღეს იწყება

**ორი დღეა,** სოფიაში მოჭიდავეთა ევროპირველობაა გაჩაღებული, მაგრამ მთავარი ამბები დღეიდან იწყება. ექვსდღიანი ტურნირის პირველი მესამედი ქალებს დაეთმოთ. მეორე ბერძენ-რომაელებისაა, ხოლო მესამე — თავისუფლების.

ბეგი დარჩიას გუნდიდან დღეს ბულგარულ ხალიჩაზე ირაკლი ჭოჭუა (55კგ), მუხრან მაჭუტაძე (66კგ), ბადრი ხასაია (84) და რევაზ ჭელიძე (120კგ) გავლენ. ოღონდ აქედანვე გადაწყვეტილია, რომ მძიმე წონაში მოჭიდავე მხოლოდ ფორმალურად გვეყოლება. რევაზ ჭელიძე ტრავმის გამო მხოლოდ კენჭისყრაში მიიღებს მონაწილეობას. ისიც იმიტომ, რომ მერე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მისცეს.

ამ წონებში წინასწარი შეხვედრები დილიდან დაიწყება. ჩემპიონ-პრიზიორების ბედი კი საღამოს, ჩვენი დროით შვიდი საათიდან გაირკვევა და ამ შეხვედრების რეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში გადმოსცემს. დანარჩენი სამი წონა — 60, 74, და 96 კილოგრამი ხვალ ჩაჭიდავდება.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ შარშანდელ მოსკოვურ ევროპირველობაზე დარჩიას გუნდმა ორი მედალი მოიპოვა — ბედინაძემ ვერცხლი, კვირკველიამ — ბრინჯაო. ეს ორი და რამაზ ნოზაძე დღეს იჭიდავებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ქალები**

**51 კგ**

1. ზამირა რახმანოვა (რუსეთი)
2 .ესტერა დობრე (რუმინეთი)
3 .ემეშე ბარკა (უნგრეთი)
3. მარია სერანო (ესპანეთი)

**59 კგ**

1. იდა კარლსონი (შვედეთი)
2. მარიანა სასტინი (უნგრეთი)
3. ანა სვირიდოვსკა (პოლონეთი)
3. გალინა ლევენკინა (რუსეთი)

**67 კგ**

1. ანა პოლოვნევა (რუსეთი)
2. ეკატერინა ბურმისტროვა (უკრაინა)
3. მარია მიულერი (გერმანია)
3. ირინა ცირკევიჩი (ბელარუსი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პლეი ოფი. პირველი წრე

### აღმოსავლეთი

### ატლანტა 0:3 რეინჯერსი

**მესამე მატჩი**

**რეინჯერსი 7:0 ატლანტა**

*3:0 2:0 2:0*

1:0 ნიულანდერი (1, იაგრი, მალიკი), 2:0 ნიულანდერი (10, მარსელ ჰოსა, იაგრი), 3:0 მალიკი (13, ნიულანდერი, იაგრი), 4:0 კალაჰანი (27, ევერი, ტიუტინი), 5:0 კალაჰანი (38, უმრ. მარა, ევერი), 6:0 შენაჰენი (49, უმრ. კალენი, პოკი), 7:0 ნიულანდერი (56, უმრ. როჟივალი, იაგრი)

### ოტავა 3:1 პიტსბურგი

**მეოთხე მატჩი**

**პიტსბურგი 1:2 ოტავა**

*0:1 1:0 0:1*

0:1 სპეცა (4, უმრ. რედენი, კორვო), 1:1 სტაალი (29, რობერტსი, უელე), 1:2 ვოლჩენკოვი (30, კომრი, შეფერი)

### დასავლეთი

### დეტროიტი 2:1 კალგარი

**მესამე მატჩი**

**კალგარი 3:2 დეტროიტი**

*0:0 1:1 2:1*

1:0 ლომბარდი (30, უმრ. ტანგეი, მოსი), 1:1 დრეიპერი (32, კლირი), 1:2 დრეიპერი (41, კლირი), 2:2 ჟორდანო (45, უმრ. უასისტენტოდ), 3:2 იგინლა (50, პრიმო, ამონტე)

### ანაჰაიმი 3:1 მინესოტა

**მეოთხე მატჩი**

**მინესოტა 4:1 ანაჰაიმი**

*0:0 1:1 3:0*

0:1 პრონგერი (27, უმრ. გეცლაფი, ს. ნიდერმაიერი), 1:1 ბუშარი (39, ბოოგარდი, შულცი), 2:1 გაბორიკი (44, უმრ. როლსტონი, დემიტრა), 3:1 როლსტონი (50, დემიტრა), 4:1 პერიში (51, ნუმინენი)

### ვანკუვერი 3:1 დალასი

**მეოთხე მატჩი**

**დალასი 1:2 ვანკუვერი**

*0:0 0:0 1:2*

0:1 ოლუნდი (50, სმოლინსკი, პიატი), 1:1 სიდორი (53, ნაგი), 1:2 ლინდენი (55, მიტჩელი, პიატი)

# დალასი თავის ბაგაზე გამრა

**დეტროიტში** აშკარად ჩაგდებული ორი მატჩის შემდეგ „კალგარის" ერთადერთ იმედად მშობლიურ კედლებში დაბრუნებალა რჩებოდა — „ალები" ხომ სახლში გაცილებით ძლიერად თამაშობენ და ამიტომაც კანადელებს დიდად ეიმედობოდათ, რომ სერიის სათავისოდ შემოტრიალებას საკუთარ „სეთლდოუმში" შეძლებდნენ. საბოლოოდ „კალგარიმ" ეს მოახერხა და ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ მთლიანობაში უფრო გაუმართლა, ვიდრე კლასით მოიგო. „დეტროიტი" კი დიდწილად კაპიტანმა ნიკლას ლიდსტრომმა დაალალატა, რომელმაც თავისთვის მეტად უჩვეულო შეცდომები დაუშვა და საკუთარი ზონიდან შაიბა ორჯერ ვერ გამოიტანა, რაც ორჯერვე გოლად დაუჯდა მის გუნდს. სამაგიეროდ, მეორე კაპიტანმა, საწყის მატჩებში ძალზე ინერტულმა ჯერომ იგინლამ იყოჩაღა და გამარჯვების გოლიც შეაგდო.

უფსკრულის პირას დადგა „დალასი" და მისი მწვრთნელი დეივ ტიპეტი — ერთი წაგებაც და გუნდი აგერ უკვე ზედიზედ მესამედ პირველ წრეში დატოვებს პლეი ოფს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტიპეტის თავი აუცილებლად გაგორდება. უკვე მეექვსე მატჩია, რაც ტეხასელები პლეი ოფში საკუთარ ყინულზე მოგებას ვერ ახერხებენ. „ვანკუვერს" კი ერთი ნაბიჯიღა დარჩა შემდეგ ეტაპამდე და გუნდის აწყობილ თამაშსა და კიპერ რობერტო ლუონგოს სათამაშო ფორმას თუ გავითვალისწინებთ, კანადელებს არ უნდა გაუჭირდეთ ამ ნაბიჯის გადადგმა.



რობერტო ლუონგოს კარში შაიბა არ შევიდა

„მინესოტამ", როგორც იქნა, გატეხა ნავსიცა და „ანაჰაიმიც" — „ველურებმა" პირველად გაპუტეს „იხვები" და ამას დიდწილად დამრიგებელ ჟაკ ლემერის გადაწყვეტილებას უნდა უმადლოდნენ, რომელმაც გუნდის წამყვან დუეტთან (მარიან გაბორიკ-პაველ დემიტრა) კიდევ ერთი ლიდერი ბრაიან როლსტონი ათამაშა და კალიფორნიელებიც ველარ გაუმკლავდნენ ამ ტრიოს. არადა, მატჩის შუაწელზე ბევრი ფიქრობდა, რომ სერია აქ უნდა მორჩენილიყო, რადგანაც „იხვები" კრის პრონგერის გოლით იგებდნენ, მაგრამ აქედან მოყოლებული, ზემოთ ნახსენებმა ტრიომ ფეერიულად ითამაშა და გულშემატკივრებს მცირე, მაგრამ იმედი მაინც ჩაუსახა.

საკუთარ ყინულზე ვერაფერი გააწყვეს „ოტავასთან" ახალგაზრდა „პინგვინებმა". კანადელებმა ამჯერად მთლიანად გამოთიშეს „პიტსბურგის" ლიდერები — აქამდე სიდნი კროსბი მაინც ჩაუქობდა ხოლმე, გუშინ კი ისიც პირწმინდად ამოკეტეს. თავად „სენატორებმა" კი ძალიან სოლიდური თამაში აჩვენეს და დაამტკიცეს, რომ ამ პლეი ოფში მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ.

ისეთი პირი უჩანს, რომ „ატლანტას" თავის პირველ პლეი ოფში კინკილა გამარჯვებაც არ ეღირსება. „რეინჯერსი" ჯერჯერობით სასტიკად ანადგურებს ჯორჯიელებს და მათ დანდობას არ აპირებს — გუშინაც 7 უპასუხო შაიბით ასიამოვნეს „ტრეშერზი". თავი კი იარომირ იაგრმა და მიქაელ ნიულანდერმა გამოიჩინეს — ჩეხმა ოთხჯერ უპასა პარტნიორებს, შვედი კი პირველი რეინჯერია უეინ გრეცკის შემდეგ, ვინც პლეი ოფში ჰეთ თრიქი შეასრულა.

**ბახა ლომაშვილი**



## ევროპის ჩემპიონატი

### სტრასბური, საფრანგეთი. 16-22 აპრილი

# ქართველებმა ევროპული შტანგა დაიწუნეს

## კანონი მუტლუსთვისაც კანონია



ჰალილ მუტლუს სტრასბურში შტანგის აწევის უფლება არ მისცეს

**საფრანგეთში,** ელზასის მთავარქალაქ სტრასბურში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ქართველების გარეშე დაიწყო და ასევე გაგრძელდება — ჩვენი ნაკრების თავკაცის ვანო გრიქუროვის შეგირდები ჯერაც ძველ ტრავმებს იშუშებენ, ოპტიმალური ფორმისგან შორს არიან და წლეულს მთავარ აქცენტს შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე აკეთებენ, სადაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება.

ამასობაში, სტრასბურულ ფიცარნაგზე მედლების პირველი სამი კომპლექტი განაწილდა — ჩემპიონ-პრიზიორები 48 და 53 კილოგრამიანმა ქალებმა და 56 კილოგრამიანმა კაცებმა გამოავლინეს. მთავარი ამბავი კი ფიცარნაგს გარეთ მოხდა და ეს ამბავი ლეგენდარულ თურქ ძალოსანს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა მრავალგზის გამარჯვებულსა და რეკორდსმენს ჰალილ მუტლუს უკავშირდება.

ორი წლის წინათ მუტლუ დოპინგის მიღებაში ამხილეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რომლის ვადა ხვალ, 20 აპრილს გადის. თურქმა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მამებს თხოვნით მიმართა, ორიოდე დღით ადრე გამათავისუფლეთ სასჯელისგან, რათა სტრასბურში შტანგის აწევა შევძლოო, მაგრამ უარი მიიღო — მუტლუ კი დიდად დაფასებული კაცია, მაგრამ კანონი კანონია და ასეთ პრეცედენტს ვერ შევქმნით, დადგება 20 აპრილი და მერე მუტლუ სადაც უნდა იქ გამოვიდესო.

არადა, თურქს 20-მდე უნდოდა, რადგანაც მის წონაში შეჯიბრი უკვე ჩატარდა და პირველობა მოლდოველმა იგორ ბორუმ მოიპოვა.

| ქალები | |
|---|---|
| **48 კგ** | |
| 1. ესტეფანია ხუანი (ესპანეთი) | 189 კგ (85+104) |
| 2. ნურკან თაილანი (თურქეთი) | 186 (83+103) |
| 3. ჯენი-კატერინა პალიარო (იტალია) | 179 (84+95) |
| **53 კგ** | |
| 1. მარიოარა მუნტიანუ (რუმინეთი) | 190 (86+104) |
| 2. ნატალია ტროშჩენკო (უკრაინა) | 186 (86+100) |
| 3. სვეტლანა ულიანოვა (რუსეთი) | 184 (81+103) |
| **კაცები** | |
| **56 კგ** | |
| 1. იგორ ბორუ (მოლდოვა) | 270 (119+151) |
| 2. ვიტალი დერენოვი (ბელარუსი) | 266 (122+144) |
| 3. იგორ გრაბუჩა (მოლდოვა) | 253 (115+138) |



# ორიც და, ორი წლით კარგად იყავით

**რუსეთის** სპორტსმენები ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ეხვევიან დოპინგსკანდალებში. ახლა ზედიზედ ორი ასეთი ამბავი გახმაურდა. ერთი მოჭიდავე ქალს ეხება, მეორე — მოცურავე კაცს.

ქალით დავიწყოთ. ეს გახლავთ 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ნატალია კარამჩაკოვა, რომელსაც ანაბოლიკ მეტანდიენონის მიღებაში ამხილეს. ამ სპორტსმენს მარტში კრასნოიარსკში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებისას პირველი სინჯი აუღეს, რამაც დადებითი შედეგი აჩვენა. თუმც თავად კარამჩაკოვას ამანაც ვერ უშველა, სამივე ბრძოლა წააგო.

31 წლის ნატალია კარამჩაკოვას ორწლიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმად 15 000 დოლარი გამოუწერეს. ეს სანქცია ძალაში 24 აპრილიდან შევა, თუ მანამდე რუსეთის ჭიდაობის ფედერაცია მეორე სინჯის გახსნას არ მოითხოვს.

რაც შეეხება რუსთა მოცურავე კაცს, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, 27 წლის ანატოლი პოლიაკოვი, ეტყობა, დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩება. ამის იმედი არც მის თანამემამულეებს აქვთ. ყოველ შემთხვევაში, პირველმა სადოპინგო სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. სააგენტო „სპორტკომი" უცხოურ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ამის შესახებ ინფორმაციამ ანტიდოპინგური სტრუქტურებიდან გამოჟონა. გაზეთი „სპორტექსპრესი" ამაზე უფრო წუხს, ვიდრე პოლიაკოვის სადოპინგო სკანდალზე.

აღმოჩნდა, რომ პოლიაკოვი არასაშეჯიბრო დღეებში, რუსეთის ზამთრის ჩემპიონატის დაწყებამდე შეუმოწმებიათ და ანაბოლური სტეროიდების ჯგუფის პრეპარატი აღმოუჩენიათ, განმეორებითი ანალიზი კი ამ დღეებში ჩატარდება, თუმცა, როგორც ვთქვით, უარყოფითი შედეგის იმედი არავის აქვს.

რუსთა ნაკრების მესვეურნი ამ ამბით მით უფრო შეშფოთებულნი არიან, რომ წლეულს დოპინგზე ჩავარდა მათი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, გრძელ დისტანციებზე მსოფლიოს ჩემპიონი ანასტასია ივანენკო, რომელიც ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის მკაცრი წესების თანახმად, თუ წლის განმავლობაში ერთი ქვეყნის ოთხ სპორტსმენს დოპინგის მიღებაში ამხელენ, მაშინ მთელ ეროვნულ ფედერაციას ორი წლით მოკვეთენ.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, რუსეთის მოცურავეთა მთელი ნაკრები ამგვარ სასჯელამდე შუა გზაზეა.

**ავთანდილ ტყვიტელი**

# ინგლისი ადრე დამთავრდა



სამხრეთ აფრიკა ნახევარფინალში გასვლას ხარობს

**კარიბეთში** მიმდინარე კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატზე მომდევნო ორიოდ დღის განმავლობაში სიწყნარე დაისადგურებს, მაგრამ ეს იქნება შტილი ქარიშხლის წინ, რადგანაც კვირის ბოლოს ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყება — ოთხი საუკეთესო ნაკრები ნახევარფინალებში გაარკვევს ურთიერთობას.

ნახევარფინალში გამსვლელი უკანასკნელი, მეოთხე ადგილისთვის ერთმანეთს სამხრეთ აფრიკა და ინგლისი ეცილებოდნენ. მათ შორის გადამწყვეტი ჯახი გუშინ შედგა. ამ შეხვედრისგან ყველა ნამდვილ ჯახს და დაძაბულ ბრძოლას მოელოდა, მაგრამ... ინგლისის გულშემატკივრებმა სასწაული მაინც ვერ იხილეს — წმინდა გიორგის ჯვრიანი დროშის ქვეშ მოთამაშე ლეგიონი კარიბეთში ძალიან უკბილოდ კი გამოიყურებოდა, მაგრამ გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ ნაკრებს იქნებ ამ გადამწყვეტ მომენტში მაინც ეჩვენებინა რაიმე ღირებული, მით უმეტეს, რომ ბარბადოსზე ბლომად ინგლისელები ჩასულიყვნენ თავისიანთა საქომაგოდ.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ გულშემატკივრებმა მხოლოდ ბევრი უსტვინეს — უსტვინეს გასახდელისკენ მიმავალ თავის ნაკრებს, რომელიც კიდევ ერთხელ შერცხვა და აფრიკელებთან პირწმინდად დამარცხდა. ასე რომ, ინგლისს მხოლოდ არაფრისმთქმელი მატჩიღა დარჩა მასპინძელ ვესტ ინდოეთთან, რის შემდეგადაც სამშობლოს გზას გაუყვება. უკვე ცნობილია, რომ დათვლილია ინგლისელთა დამრიგებელ დუნკან ფლეტჩერის დღეები ნაკრების მწვრთნელის რანგში — ბევრი მოელის, რომ ის თავისით წავა და თუ არ ინებებს, ძალით გააგდებენ.

ნახევარფინალში, სავარაუდოდ, სამხრეთ აფრიკა მოქმედ ჩემპიონსა და ამ ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტ ავსტრალიას დაეტაკება, რომელსაც ჯერ დამარცხების სიმწარე არ უგემია. სხვათა შორის, გუშინწინ ოზები კიდევ ერთ ნახევრფინალისტ შრი ლანკას შეხვდნენ და იგივე დღე აწიეს, რაც სხვა ნაკრებებს — პირწმინდად გადაუარეს.

მეორე ნახევრფინალში ერთმანეთს შრი ლანკა და ახალი ზელანდია დაეტაკებიან.

**ქახა ლომჯაშვილი**





დანიელე კონტრინი

# იტალიური გაქცევა ჯორჯიაში

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, ჯორჯიის შტატში გახურდა ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე პოპულარული ველორბოლა, რვაეტაპა „ჯორჯიის ტური".

პირველი, 153-კილომეტრიანი ეტაპი პეკტრი სიტიდან მეიკონამდე რუსული ველოგუნდ „ტინკოფის" იტალიელმა მრბოლმა დანიელე კონტრინიმ მოიგო, რომელმაც ფინიშამდე 8 კილომეტრით ადრე შეუტია და მდევრები გვარიანად უკან მოიტოვა.

„ტინკოფი" „პრო-ტურის" სერიის გუნდებს არ განეკუთვნება, ანუ ელიტაში არ შედის და ისე მოხდა, რომ მეორე, 217-კილომეტრიანი ეტაპიც არაელიტარული გუნდის — „ტოიოტა იუნაიტედის" წევრმა, სერბმა ივან სტევიჩმა მოიგო, რომელმაც ფინიშზე აჯობა დანიური CSC-ის არგენტინელ ხუან ხოსე აედოსა და ბელგიური „ლოტოს" ამერიკელ ფრედ როდრიგესს.

32 წლის კონტრინიმ ფინიშს მოწინავე ჯგუფში უწია და საერთო ჩათვლის ლიდერობა შეინარჩუნა. იტალიელი გენერალურ კლასიფიკაციაში 29 წამს უგებს ამერიკელ დაგ ოლერენშოუს, მესამე ადგილზე მყოფი კიდევ ერთი ამერიკელი ბენ დეი ლიდერს 38 წამით ჩამორჩება, ხოლო დანარჩენები კონტრინისთან წუთზე მეტს აგებენ.

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 15:45 | 10 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 18:00 | 11 | უოტფორდი-სიტი | 2.55 | 3.20 | 2.65 | 1.41 | 1.29 | 1.44 |
| 18:00 | 12 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 18:00 | 13 | ბოლტონი-რედინგი | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| 18:00 | 14 | ჩარლტონი-შეფილდი | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 18:00 | 15 | ფულემი-ბლექბერნი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 16 | ლივერპული-უიგანი | 1.40 | 4.20 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.69 |
| 20:15 | 18 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1.22 | 6.00 | 12.00 | 1.01 | 1.10 | 4.00 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 19 | ნიუკასლი-ჩელსი | 6.00 | 3.70 | 1.55 | 2.28 | 1.23 | 1.09 |
| 19:00 | 20 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 23 | დერბი-ლუტონი | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 24 | ბარნსლი-კრისტალ პალასი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 18:00 | 25 | პლიმუთი-საუთენდი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 26 | პრესტონი-ლესტერი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:00 | 27 | ქპრ-კარდიფი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 28 | უენსდი-ქოვენთრი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 29 | საუთჰემპტონი-ლიდსი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 18:00 | 30 | სტოუკ-ჰალი | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| 18:00 | 31 | კოლჩესტერი-სანდერლენდი | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 32 | ვულვერჰემპტონი-ბირმინგემი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 15:00 | 33 | ნორვიჩი-იფსვიჩი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | 23 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 34 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 35 | ბრედფორდი-ლეიტონი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 36 | კარლაილი-ბრისტოლი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 37 | ჩელტენემი-ბლეკპული | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 18:00 | 38 | ქრიუ-ოლდემი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 18:00 | 39 | დონკასტერი-ბრენტფორდი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 40 | ჯილინგემი-პორტ ვეილი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 41 | ჰადერსფილდი-მილუოლი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 18:00 | 42 | ნორთჰემპტონი-ჩესტერფილდი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 43 | ნოტინგემი-ბორნმუთი | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 18:00 | 44 | სუონსი-ბრაიტონი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 45 | ტრანმერი-სკანთორპი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 46 | იოვილი-როტერჰემი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 47 | ჰარტლპული-ნოტსი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 48 | პიტერბრო-ჰერეფორდი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 18:00 | 49 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 18:00 | 50 | შრიუსბერი-აკრინგტონი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 18:00 | 51 | სტოკპორტი-დონსი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:00 | 52 | სუინდონი-მენსფილდი | 1.40 | 3.70 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.52 |
| 18:00 | 53 | უოლსოლი-ბერი | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 18:00 | 54 | რექსემი-ტორკი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 18:00 | 55 | ბოსტონი-ჩესტერი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 56 | როვერსი-ლინკოლნი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 57 | დარლინგტონი-უიკომბი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 18:00 | 58 | გრიმსბი-ბარნეტი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 62 | ალდერშოტი-კემბრიჯი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 63 | ფორესტ გრინი-ჰალიფაქსი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 64 | გრეივსენდი-სტ.ალბანსი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 18:00 | 65 | გრეისი-ქროული | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 66 | კიდერმინსტერი-მორიკომბი | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 67 | ნორთვიჩი-ბარტონი | 2.70 | 3.30 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 18:00 | 68 | ოქსფორდი-სტივენიჯერსი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 69 | რაშდენი -უოკინგი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 70 | საუთპორტი-იორკი | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 71 | სტივენეიჯი-ექსეტერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 72 | ტემფორთი-ალტრინჰემი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 73 | ვეიმუთი-დაგ ენდ რედი | 2.55 | 3.40 | 2.35 | 1.45 | 1.22 | 1.38 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 15:30 | 75 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 18:00 | 76 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 77 | ინვერნესი-მაზერუელი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 78 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 80 | კილმარნოკი-სელტიკი | 7.00 | 3.50 | 1.48 | 2.33 | 1.22 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 23 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 82 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 83 | ერდრი-პარტიკი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 84 | დანდი-ჰამილტონი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 85 | გრეტნა-კლაიდი | 1.40 | 4.20 | 6.20 | 1.04 | 1.14 | 2.50 |
| 18:00 | 86 | ლივინგსტონი-როსი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 87 | სტ.ჯონსტონი-ქუინი | 1.60 | 3.70 | 4.50 | 1.11 | 1.18 | 2.03 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 88 | კოუდენბითი-ეარი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 89 | ფორფარი-რეითი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 18:00 | 90 | მორტონი-სტრანრარი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 18:00 | 91 | პიტერჰედი-ალოა | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 92 | სტირლინგი-ბრეჩინი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 93 | ბერიკი-არბროთი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 94 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 1.55 | 3.90 | 5.00 | 1.10 | 1.18 | 2.19 |
| 18:00 | 95 | ისტ სტირლინგი-დამბარტონი | 4.70 | 4.10 | 1.50 | 2.18 | 1.13 | 1.09 |
| 18:00 | 96 | მონტროუზი-სტენჰაუზმური | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 97 | ქუინზ პარკი-ელგინი | 1.40 | 4.40 | 5.50 | 1.06 | 1.11 | 2.44 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 98 | ვერდერი-ალემანია | 1.30 | 4.80 | 9.50 | 1.02 | 1.14 | 3.18 |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 100 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 17:30 | 102 | აინტრახტი-ბოხუმი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 17:30 | 103 | ჰერტა-დორტმუნდი | 2.10 | 3.30 | 3.30 | 1.28 | 1.28 | 1.64 |
| 17:30 | 104 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 2.05 | 3.20 | 3.55 | 1.24 | 1.29 | 1.68 |
| 17:30 | 105 | შალკე-კოტბუსი | 1.35 | 4.30 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.90 |
| 17:30 | 107 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 108 | ჰამბურგი-მაინცი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 19:00 | 109 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.80 | 3.30 | 4.60 | 1.16 | 1.29 | 1.92 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 111 | აუე-ესენი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 112 | კაიზერსლაუტერნი-ოფენბახი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 20:00 | 113 | მიუნხენი 1860-კიოლნი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 114 | უნტერჰახინგი-კობლენცი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 16:00 | 115 | ბურგჰაუზენი-აუგსბურგი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 16:00 | 116 | დუისბურგი-ბრაუნშვაიგი | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| 16:00 | 117 | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| 16:00 | 118 | ფიურტი-პადერბორნი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | 23 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 119 | ჰანზა-კარლსრუე | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 246 | სოსიედადი-ატლეტიკო | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 23:45 | 247 | რეალი-ვალენსია | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 248 | უელვა-რასინგი | 2.35 | 3.10 | 3.00 | 1.33 | 1.31 | 1.52 |
| 19:00 | 249 | ესპანიოლი-ბეტისი | 2.15 | 3.10 | 3.40 | 1.26 | 1.31 | 1.62 |
| 19:00 | 250 | დეპორტივო-ოსასუნა | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 19:00 | 251 | ლევანტე-ხეტაფე | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 252 | მალიორკა-ტარაგონა | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 253 | სარაგოსა-სელტა | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 21:00 | 255 | სევილია-ბილბაო | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 23:00 | 257 | ვილიარეალი-ბარსელონა | 4.00 | 3.20 | 1.90 | 1.77 | 1.28 | 1.19 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 20:30 | 262 | კადისი-სიუდადი | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| 20:30 | 263 | კასტელონი-ლას პალმასი | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 259 | ალავესი-ნუმანსია | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 20:00 | 260 | ალბასეტე-სალამანკა | 2.10 | 2.90 | 3.55 | 1.21 | 1.31 | 1.59 |
| 14:00 | 261 | ალმერია-ეხიდო | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 20:00 | 264 | ჰერკულესი-სპორტინგი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 20:00 | 265 | მალაგა -ელჩე | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 20:00 | 266 | მურსია-ხერესი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 19:30 | 267 | რეალი(ბ)-პონფერადინა | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 21:00 | 268 | ტენერიფე-ვალიადოლიდი | 2.85 | 3.00 | 2.35 | 1.46 | 1.28 | 1.31 |
| 21:00 | 269 | ვეცინდარიო-ლორკა | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 275 | ლანსი-ლე მანი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 22:00 | 276 | მარსელი-ტრუა | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 22:00 | 277 | მონაკო-ლილი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 22:00 | 278 | ნანსი-ვალენსიენი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 19:10 | 279 | პსჟ-ნანტი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 22:00 | 281 | რენი-ტულუზი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 22:00 | 283 | სედანი-ნიცა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 22:00 | 284 | სოშო-ლორიანი | 1.85 | 3.00 | 4.35 | 1.14 | 1.29 | 1.77 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 273 | ოსერი-ლიონი | 3.50 | 3.00 | 2.10 | 1.61 | 1.31 | 1.23 |
| [illegible]:05 | 282 | სტ.ეტიენი-ბორდო | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 316 | აიაქსი-სპარტა | 1.15 | 6.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.43 |
| 16:30 | 318 | ალკმაარი-ჰერენვენი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 16:30 | 320 | დენ ჰააგი-გრონინგენი | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| 16:30 | 321 | ფეიენოორდი-ნაიმეგენი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 16:30 | 323 | ჰერაკლესი-ექსელსიორი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 16:30 | 324 | ბრედა-როდა | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 16:30 | 325 | ვალვაიკი-ტილბურგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 16:30 | 326 | უტრეხტი-პსვ | 4.70 | 3.40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 16:30 | 328 | ვიტესი-ტვენტე | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 23:30 | 341 | ამადორა-ბოავიშტა | 2.35 | 3.10 | 2.95 | 1.33 | 1.30 | 1.51 |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 347 | მარიტიმუ-ბენფიკა | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 342 | ავეში-ფერეირა | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| 19:00 | 346 | ლეირია-ნასიონალი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 22:15 | 348 | პორტუ-ბელენენსეში | 1.45 | 4.10 | 6.50 | 1.07 | 1.18 | 2.51 |
| 23:45 | 349 | სპორტინგი-ნაველი | 1.30 | 4.70 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.08 |
| | | 23 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 343 | ბეირა მარი-აკადემიკა | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 22:45 | 344 | ბრაგა-სეტუბალი | 1.50 | 3.90 | 5.50 | 1.08 | 1.17 | 2.28 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 383 | ამკარი-ტომსკი | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 19:00 | 384 | დინამო მ-ხიმკი | 1.80 | 3.10 | 4.30 | 1.13 | 1.26 | 1.80 |
| 15:30 | 385 | როსტოვი-ყუბანი | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 16:30 | 386 | სატურნი-რუბინი | 2.25 | 2.60 | 3.70 | 1.20 | 1.39 | 1.52 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 12:00 | 387 | ენერგია-ზენიტი | 3.40 | 3.00 | 2.10 | 1.59 | 1.29 | 1.23 |
| 14:00 | 388 | მოსკოვი-ცსკა მ | 3.50 | 3.00 | 2.05 | 1.61 | 1.29 | 1.21 |
| 16:00 | 389 | სპარტაკი მ-კრილია | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 19:00 | 390 | ნალჩიკი-ლოკომოტივი მ | 3.20 | 2.90 | 2.25 | 1.52 | 1.32 | 1.26 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 413 | ლიბერეცი-იაბლონეცი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 21:30 | 414 | სიგმა-კლადნო | 2.05 | 3.10 | 3.55 | 1.23 | 1.29 | 1.65 |
| 21:30 | 415 | ბრნო-სლოვაცკო | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 452 | ბრაბრანდი-ჰელერუპი | 2.30 | 3.40 | 2.70 | 1.37 | 1.24 | 1.50 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 453 | ფრემადი-კოლდინგი | 2.50 | 3.40 | 2.45 | 1.44 | 1.23 | 1.42 |
| 15:00 | 454 | ტისტედი-იოლსტიკე | 2.15 | 3.40 | 2.90 | 1.31 | 1.23 | 1.56 |
| 17:00 | 455 | ფრედერისია-ფრემი | 2.00 | 3.40 | 3.20 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 17:00 | 456 | ჰერფიოლგე-ორჰუსი ფრ | 1.60 | 3.60 | 4.80 | 1.10 | 1.20 | 2.05 |
| 15:00 | 457 | ლიუნგბიუ-ორჰუსი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 17:00 | 458 | ნესტვედი-კიოგე | 1.90 | 3.60 | 3.50 | 1.24 | 1.23 | 1.77 |
| 17:00 | 459 | სიონდერიისკე-აკადემისკი | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 489 | იონკოპინგი-ბანკეფლო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 21:00 | 490 | იორგრიტე-დეგერფორსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 21:00 | 491 | ჰეკენი-ფალკენბერგი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 499 | ოულუ-ვიკინგიტი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 17:00 | 500 | კტპ-ჰკ | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 18:00 | 501 | ვპს-ტამპერე | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 502 | ტურკუ-მარიეჰამნი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:30 | 503 | ჰონკა-მიუპა | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:30 | 504 | ლაჰტი-იარო | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | 23 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 505 | ჰაკა-ინტერი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 506 | ბოჰემიანი-გალვეი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 22:45 | 507 | ბრეი-კორკი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 22:45 | 508 | დერი-დუბლინი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:00 | 509 | შემროკი-დროგედა | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 510 | ლონგფორდი-უოტერფორდი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 22:45 | 511 | სლიგო-სტ.პატრიკსი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 522 | კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 566 | დეპორტივო-სევილია | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 573 | ალკმაარი-ბრედა | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 574 | ბელენენსეში-ბრაგა | 2.20 | 2.90 | 3.00 | 1.25 | 1.26 | 1.47 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 587 | ინტერნასიონალი-ნასიონალი მ | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 23:45 | 588 | ველესი-ემელეკი | 1.15 | 5.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 3.94 |
| 23:45 | 589 | ხიმნასია ლპ-დეფენსორი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 590 | სანტოსი-პასტო | 1.15 | 5.80 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.01 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 698 | კანტუ-რომა | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 22:30 | 699 | ბოლონია-ბიპოპი | 1.18 | 12.00 | 4.00 | 1.07 | 1.00 | 3.00 |
| 22:30 | 700 | მილანი-აველინო | 1.05 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 22:30 | 701 | ორლანდო-ბენეტონი | 2.90 | 12.00 | 1.35 | 2.33 | 1.00 | 1.21 |
| 22:30 | 702 | ლივორნო-ვარეზე | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 22:30 | 703 | მონტეგრანარო-ვ.ბოლონია | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 22:30 | 704 | სიენა-უდინე | 1.07 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 705 | ნაპოლი-ბიელა | 1.30 | 12.00 | 3.00 | 1.17 | 1.00 | 2.40 |
| 22:30 | 706 | სკაფატი-ტერამო | 1.40 | 12.00 | 2.80 | 1.25 | 1.00 | 2.27 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 716 | ბარსელონა-ხუვენტუდი | 1.25 | 12.00 | 3.00 | 1.13 | 1.00 | 2.40 |
| 23:00 | 721 | მურსია-ვალიადოლიდი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:00 | 723 | მენორკა-ბილბაო | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 23:00 | 724 | სან ფერნანდო-უნიკახა | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# პოლონეთი 2012 უკრაინა

## ევროპული პოლიტიკა ბურთს აღმოსავლეთისკენ მოაგორებს



გდანსკი. „ბალტია არენა". აშენდება 2008-2010 წლებში. ტევადობა: 44 000



პოზნანი. „მუნიციპალი". აშენებულია 1980 წელს. მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ტევადობა: 46 500



ვარშავა. „ნაციონალი". აშენდება 2007-2009 წლებში. ტევადობა: 70 000



ვროცლავი. „ოლიმპია". აშენებულია 1936 წელს. მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ტევადობა: 45 000



ჩორძოვი. „სლასკი". აშენებულია 1927 წელს. მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ტევადობა: 60 000



კრაკოვი. „ვისლა". აშენებულია 1954 წელს. მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ტევადობა: 33 000




პოლონეთის და უკრაინის ფეხბურთის თავები: მიხალ ლისტკიევიჩი და გრიგორი სურკისი

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ** ევროპის ქვეყნები — პოლონეთი და უკრაინა — ისტორიაში პირველად უმასპინძლებენ ევროპის ჩემპიონატს.

კარდიფის „სენტ დევიდის" სასტუმროში უეფას აღმასკომის 12 წევრიდან რვამ პოლონეთ-უკრაინას მისცა ხმა, ოთხი იტალიას ერგო, ხორვატია-უნგრეთი კი უხმოდ დარჩა.

„85 მილიონი ადამიანი საფეხბურთო დღესასწაულის მოლოდინშია. ჩვენი ქვეყნების მეგობრობას ძალიან დიდი ისტორია აქვს და ევროპის ჩემპიონატი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ორი სლავი ერის ცხოვრებაში" — განაცხადა პოლონეთის ფეხბურთის ასოციაციის შეფმა მიხალ ლისტკიევიჩმა.

„ევრო 2012 დიდებული შანსია პოლონეთისთვის და უკრაინისთვის ევროპულ საფეხბურთო ოჯახში გასაწევრიანებლად — თქვა უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ — მილიონობით ფანს დავამახსოვრებთ თავს საუცხოო მასპინძლობით და სლავური კულტურით".

კენჭისყრის შედეგმა გააოგნა მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელები, რომლებიც ფავორიტად ითვლებოდნენ. კალჩოპოლის შარშანდელმა სკანდალმა და ამა წლის დასაწყისში კატანიაში ფანებისგან პოლიციელის მკვლელობამ, ზოგადად კი აპენინებზე გახშირებულმა ხულიგნობამ, იტალიელთა მარცხი გამოიწვია. არადა, მათ ორჯერ (1968 და 1980 წლებში) უმასპინძლიათ ევროპის ჩემპიონატისთვის. ინფრასტრუქტურაც უკეთესი აქვთ, გამოცდილებაც არ აკლიათ და კარგი სტადიონებიც, მაგრამ, როგორც იტალიის სპორტის მინისტრმა ჯოვანა მელანდრიმ განაცხადა, უეფამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო — ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა აღმოსავლეთ ევროპას მიანდო...

„კარი გაუღეს ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, რომლებიც ევროპაში ინტეგრაციას ცდილობენ — თქვა მელანდრიმ — ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ამას მივესალმოთ და გამარჯვება მოედანზე მოვიპოვოთ".

„მადლობელი ვარ აღმასკომის ყველა წევრისა, რომლებმაც ნდობა გამოგვიცხადეს — ხარობდა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი — ვპირდებით ყველას, რომ ჩემპიონატს უმაღლეს დონეზე ჩავატარებთ".

ვარშავის ცენტრში კი იქაურები დიდ ეკრანთან შეიკრიბნენ და ზეიმი მოაწყვეს.

„ჩვენ ელიტაში შევედით — ბრძანა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა იაროსლავ კაჩინსკიმ — მთელ ევროპას უნდა დავუმტკიცოთ, რომ დიდი შეჯიბრების მასპინძლობის შნო გვაქვს".

უეფას აღმასკომმა სხვა საკითხებიც განიხილა, მათ შორის, ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის 24-მდე გაზრდის თაობაზე. გაირკვა, რომ ეს შეიძლება 2016-ისთვის მოხდეს, მანამდე კი გამორიცხულია — საბოლოო გადაწყვეტილებას ნოემბერში ან დეკემბერში მიიღებენ.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან-პიერ ესკალეტმა „ეკიპთან" საუბარში გაამხილა, რომ ევრო 2016-ის მასპინძლობის სურვილი და საშუალება აქვთ და უეფაში კანდიდატურას წარადგენენ...

**ᲒᲐᲒᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**



პოლონური სიხარულის ტალღა

AFP



კიევი. „ოლიმპიისკი". აშენებულია 1923 წელს. განახლებულია. ტევადობა 84 000. ევრო 2102-ის ფინალი ამ სტადიონზე გაიმართება



დნეპროპეტროვსკი. „დნეპრო". რეკონსტრუქცია სექტემბერში დასრულდება. ტევადობა 35 000



დონეცკი. „შახტარი". ამ ულტრათანამედროვე სტადიონის რეკონსტრუქცია 2008 წლის ბოლოს დასრულდება. ტევადობა: 55 0000



ლვოვი. „უკრაინა". აშენებულია 1970 წელს. განახლებულია. ტევადობა: 40 000



ოდესა. „ჩერნომორეცი". აშენებულია 1960 წელს. განაახლებენ. ტევადობა: 35 000



ხარკოვი. „მეტალისტი". აშენებულია 1960 წელს. განაახლებენ. ტევადობა: 30 000

# გაგო: გაზეთის წაკითხვას თამაშის წაკითხვა მირჩევნია

**მადრიდის „რეალი" საჩემპიონო შანსებს კიდევ ინარჩუნებს, თუმც ლიდერ „ბარსელონას" გადასწრება სამეფო თეთრებისთვის ადვილი საქმე არ იქნება. ფაბიო კაპელოს გუნდი მომავალ ტურში „ვალენსიას" უნდა შეერკინოს, იქამდე კი მსაჯთა შეცდომებით წაგებული სკანდალური მატჩი იყო სანტანდერის „რასინგთან". სამეფო გუნდისა და მასთან დაკავშირებული სიტუაციის თაობაზე მადრიდული „ასი" არგენტინელ ფეხბურთელ ფერნანდო გაგოს ესაუბრა...**



## რეალელი თავის თავს გლადიატორში ხედავს

— რას იტყვით მსაჯებზე?

— ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მათ უნდა შევეშვათ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ.

— ალბათ ასეცაა საჭირო, რადგანაც რამდენიმე დღეში „სანტიაგო ბერნაბეუს" „ვალენსია" მოაკითხავს...

— ეს მატჩი ჩემპიონის ბედზე გადამწყვეტ ზეგავლენას იქონიებს. „ვალენსიასთან" თამაში უნდა მოვიგოთ — სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**— „რეალში" გატარებულ ოთხ თვეზე რას იტყოდით?**

— საერთო ჯამში ყველაფერი კარგადაა. ჩემს სადებიუტო მატჩში კარგად ვერ გამოვიყურებოდი და არც შედეგი იყო ჩვენთვის სასარგებლო, მაგრამ დროთა განმავლობაში თამაში გამოვასწორე. თანაგუნდელებმაც, ცხადია, უკეთესად გამიცნეს, რაც გუნდთან ადაპტაციაში დამეხმარა.

**— რით ახსნით, რომ „ბარსას" ხუთქულიანი უპირატესობის მიუხედავად, ლა ლიგას ბატონ-პატრონი ჯერაც არ გამოუჩნდა?**

— ჩემპიონობისთვის თანაბარი ძალის გუნდები იბრძვიან და ამიტომაც ვერ გამოიკვეთა რომელიმე მათგანი. ჩვენც და „ბარსელონამაც" იმდენი ქულები დავკარგეთ, რომ ნაკლებად მოსალოდნელია, ჩემპიონის ბედი სეზონის ბოლომდე გადაწყდეს.

**— „რეალი" ცუდად თამაშობს?**

— ცუდად არ თამაშობს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევს. რამდენიმე შესანიშნავი მატჩი ჩავატარეთ, მაგალითად, ისეთი, როგორიც „ბეტისთან" სათასო ბრძოლა იყო, მაგრამ შეხვედრები ისე ვერ დასრულდა, ჩვენ რომ გვსურდა. უამრავი საგოლე შანსი გვქონდა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შევძელით.

**— ქომაგობას საუკეთესო ფერნანდო გაგო ჯერ არ უნახავს?**

— რა თქმა უნდა, არა. „ბოკაშიც" მუდამ დონის ამაღლებაზე ვზრუნავდი და ასე იქნება მადრიდშიც.

**— რომელი ფეხბურთი უფრო მოგწონთ — სამხრეთამერიკული თუ ევროპული?**

— ორივე. ჰგავნან ერთმანეთს, თუმცა სხვაობაც არის. ყოველთვის ვამბობდი, რომ არგენტინაში საფეხბურთო შეგრძნება უფრო მძაფრია, ევროპელი გულშემატკივრები კი შედარებით მშვიდები არიან.

**— შეიცვალა გაგო მადრიდის „რეალში" გადასვლის შემდეგ?**

— არა, ისევ ის ვარ, ვინც ვიყავი. პიროვნული ცვლილებებისთვის, უბრალოდ, მოტივაცია არ გამაჩნია, რადგანაც, რაც მაქვს, ისიც მაკმაყოფილებს. თავს სუსტ ადამიანად არ ვთვლი.

**— ფერნანდო რედონდოს შემდეგ „ბერნაბეუზე" გამოკვეთილი საყრდენი ნახევარმცველი აღარ ყოფილა, ხალხი უფრო ორი ჩამშლელის ნახვას მიეჩვია...**

— ცენტრში მარტო თამაშს ვამჯობინებ, რადგან ესაა ჩემი სტილი. თუმცა ფეხბურთელი მწვრთნელის სქემას უნდა მოერგოს და თუ საქმეს სჭირდება, ამასაც გავაკეთებ.

**— კარში რატომ არ ურტყამთ ბურთს?**

— იმ პოზიციის გამო, რომელიც მოედანზე მაქვს, ვამჯობინებ, ბურთი იმ თანაგუნდელს გადავცე, რომელიც უფრო მოხერხებულ პოზიციაშია. თუმცა შანსი რომ მომეცეს, კარში უყოყმანოდ დავარტყამ. ისე, გოლის გატანაზე მეტად საგოლე პასის მიცემა მიყვარს. შესანიშნავად ვგრძნობ თავს, როცა რომელიმე თანაგუნდელს გოლი ჩემი პასით გააქვს.

**— რა სჭირდება „რეალს" ლა ლიგის მოსაგებად?**

— გუნდის ერთიანობა და ის აქტიურობა, რაც ბოლო მატჩებში ვაჩვენეთ. ქულების დაკარგვა უკვე აღარ შეიძლება. ყველა დარჩენილი თამაში უნდა მოვიგოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბარსა" წინაა და დაუდევრობის უფლება აღარ გვაქვს.

**— პრესას თუ კითხულობთ?**

— ძალიან იშვიათად. პრესას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ახლა მედია ჩემზე გავლენას ვერ ახდენს, თუმცა ადრე სხვანაირად იყო — გაზეთებს ყოველდღიურად ვეცნობოდი და, რასაც წერდნენ, ჩემზე ძალიან მოქმედებდა.

**— რაც მადრიდში ხართ, ყველაზე მეტად „ბაიერნთან" წაგებამ დაგამწუხრათ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა ძალიან განვიცადეთ, მაგრამ ცხვირის ჩამოშვების და სასოწარკვეთის დრო არ არის.

**— „ბარსელონაზე" რას ფიქრობთ?**

— არასოდეს მიყვარდა მეტოქეებზე საუბარი.

**— „რეალი" თავის გამარჯვებებს სიბელესის შადრევანთან ზეიმობს. იქ თქვენი თავი თუ წარმოგიდგენიათ?**

— სიბელესი მაგარია, სულ ვფიქრობ, რამხელა სიხარული იქნება, იქ ფიესტა რომ გავმართოთ.

**— თუ ოქროს მედალს მოიგებთ, ვის მიუძღვნით?**

— მამაჩემს, რომელიც ყოველთვის მეხმარებოდა.

**— „რეალი" წლეულს ჩემპიონობას იმსახურებს?**

— კარგია, თუ ჩემპიონობას ლამაზი თამაშით მოვიგებთ, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც გამარჯვებაა.

**— რაც ესპანეთში თამაში დაიწყეთ, ყველაზე მეტად რომელმა ფეხბურთელმა გაგაოცათ?**

— ფაბიო კანავარომ. ვიცოდი, რომ დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ასეთს არ ველოდი. იგი „ოქროს ბურთს" და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობას ნამდვილად იმსახურებდა. თან ფაბიო შესანიშნავი პიროვნებაცაა.

**— ხომ არ გაწუხებთ, რომ ფერნანდო რედონდოს გადარებენ?**

— არ მიყვარს შედარებები, მაგრამ, თავისთავად ცხადია, მსიამოვნებს, როცა ჩემს სახელს ასეთი დიდი ფეხბურთელის გვერდით ახსენებენ.

**— მადრიდი როგორ მოგწონთ, აქაურობას უკვე შეეჩვიეთ?**

— ძალიან მომწონს. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. საცხოვრებლად წყნარი ადგილი შევარჩიე და ესპანეთსაც მალე შევეჩვევი.

**— ბოჰემური ცხოვრების მოყვარული ხართ?**

— 20 წლის ვარ და მეგობრებთან გართობაზე უარს არასოდეს ვამბობ. ისე, საკმაოდ წყნარი ადამიანი ვარ.

**— ოჯახს ხშირად უკავშირდებით?**

— დიახ. ოჯახმა ბევრი რამ მასწავლა — ის, რომ მძიმე წუთებშიც უნდა შევინარჩუნო სიმშვიდე, ცხოვრებისეული ღირებულებები დავაფასო და ასე შემდეგ.

**— რას აკეთებს გაგო თავისუფალ დროს?**

— ოჯახთან ერთად ვარ. მაგალითად, ახლა ჩემთან ჩემი საცოლე ცხოვრობს, რამდენიმე დღის წინ კი დედამაც მომინახულა. ვცდილობ, იმ ხალხთან ვიყო, ვისაც ვუყვარვარ.

**— კინოში თუ დადიხართ?**

— დიახ, თუმცა ვამჯობინებ, ფილმებს შინ DVD-ზე ვუყურო.

**— თქვენი ფავორიტი ფილმი?**

— „გლადიატორი". ძველია, მაგრამ ძალიან მომწონს.

**— რატომ?**

— თავს მთავარ გმირს ვადარებ.

**— კრიშტიანუ რონალდუზე რას გვეტყვით?**

— დიდებული, სხვათაგან განსხვავებული ფეხბურთელია. ჩემთვის პატივი იქნებოდა მასთან ერთად თამაში. საერთოდაც, რომ შემეძლოს, მადრიდის „რეალში" გადმოვიყვანდი.

## ბუფონს მუხლი უთავაზეს

**„იუვენტუსიდან"** ჯანლუიჯი ბუფონის წასვლაზე ისევ ალაპარაკდნენ, რაც „ლივორნოს" მეკარე მარკო ამელიას „ბრალია".

იტალიურ მედიაში გაჩნდა ცნობა, რომ ტურინელები ამელიას შეძენას აპირებენ — მუხლნატკენ ლივორნოელ გოლკიპერს ტურინში „იუვეს" ექიმები მკურნალობენ და ლაპარაკიც ამან გამოიწვია.

ამელიას „ლივორნოსთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს.

## ჰარგრივსი დაიჭირეს

**ბრიტანული** „სანი" ამტკიცებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე მოურიგდა მიუნხენის „ბაიერნს" ოუენ ჰარგრივსის ტრანსფერზე.

მანჩესტერელები თითქმის წელიწადია, დასდევენ 26 წლის ინგლისელ ნახევარმცველს და სასურველს მიაღწიეს.

„სანისვე" ცნობით, „ბაიერნი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 18 მილიონ გირვანქას მიიღებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რაფაელი ბაიერნისთვის

**ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, რომ „ბაიერნიდან" „ჩელსიში" წასული მიხაელ ბალაკის საუკეთესო შემცვლელი რაფაელ ვან დერ ვაარტი იქნება.

„ვან დერ ვაარტი იდეალური ვარიანტია — აღნიშნა კაიზერ ფრანცმა — ჰოლანდიელი სწორედ ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ამჟამად ძალიან აკლია „ბაიერნს". ჩვენ გვინდა შემქმნელი ნახევარმცველი. მას კი შექმნაც შეუძლია და დაცვაც ეხერხება".

## დევისის ფასი

**„ტოტენჰემი"** 10 მილიონ გირვანქასაც არ დაინანებს, ოღონდ კერტის დევისი ხელში ჩაიგდოს, რომელიც „ვესტ ბრომვიჩის" მცველია. ამ ტრანსფერის გაჩარხვის ალბათობა დიდია, რადგან „ტოტენჰემის" ცენტრალური მცველი ლედლი კინგი ტრავმებმა დატანჯა და კლუბი მის გაყიდვას აპირებს. დევისი კი ალბათ არ დარჩება „ვესტ ბრომვიჩში", თუნდაც გუნდმა პრემიერლიგის საგზური მოიპოვოს.

გარდა ამისა, „მამლებს" „ვესტ ჰემიდან" ნახევარმცველ ნაიჯელ რეო-კოკერის ყიდვაც უნდათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ევროპაში წანწალს არ ვაპირებ

მადრიდის „ატლეტიკოს“ კაპიტანმა ფერნანდო ტორესმა „კადენა სერისთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ კარიერის გაგრძელებას ისევ „ვისენტე კალდერონზე“ აპირებს. „ელ ნინიოს“ უამრავი ევროპული კლუბი ეპატიჟება, თუმცა ფერნანდო კვლავ „ათლეტთა“ ერთგული რჩება...



— პატარაობაში გინდოდათ, „ატლეტიკოს“ მეცხრე ნომრით გეთამაშათ და ეს ოცნება სინამდვილედ აქციეთ. რომელი უფრო ადვილი იყო: აქამდე მოსვლა თუ გუნდში ადგილის შენარჩუნება?

— ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, თუმცა ამ წლების განმავლობაში ყველა საქმე ისე არ წავიდა, როგორც „ატლეტიკოს“ უნდოდა. ჩვენ იოლად არაფრისთვის მიგვიღწევია.

— როცა „ატლეტიკოში“ მოხვდით, გუნდში კიკო, აგილერა და სხვა ფეხბურთელები თამაშობდნენ, რომლებიც დღეს „ვისენტე კალდერონზე“ აღარ არიან. დღევანდელი შემადგენლობა მაშინდელისგან ძალიან განსხვავდება?

— ახლა უფრო მეტად ახალგაზრდები ვართ, მაშინ კი გუნდს ძირითადად ვეტერანები შეადგენდნენ. დღეს უფრო მეტი გვაქვს ერთმანეთთან საერთო, უფრო ვერთობით, თუმცა მატჩებისას გამოუცდელობა აშკარად იგრძნობა.

— ყველა „ელ ნინიოს“ („ბავშვს“) გეძახის. ეს არ გაწუხებთ?

— არანაირად. თანახმა ვარ, 30 წლის ასაკშიც ამ მეტსახელით მომმართონ.

— რაზე ოცნებობდით, როცა პატარა იყავით? დღევანდელი „ატლეტიკო“ განსხვავდება იმ გუნდისგან, რომელსაც ტრიბუნიდან გულშემატკივრობდით?

— ყოველთვის ჯილდოების მოგებაზე ვოცნებობდი, რაც ჯერ არ ამისრულებია. ახლა მეტოქეები ძველებურად აღარ გვაფასებენ, რადგანაც არიან გუნდები, რომლებიც ჩვენზე უკეთეს შედეგს აჩვენებენ. ჩვენ ახლა გარდამავალ პერიოდში ვართ და ნელ-ნელა მივაღწევთ იმ ადგილს, რომელიც შეგვეფერება.

— **რწმენა ხომ არ დაგიკარგავთ?**

— არა. „ატლეტიკო“ გამარჯვებისადმი რწმენას არასდროს კარგავს.

— რამდენჯერ გიფიქრიათ გუნდიდან წასვლაზე?

— წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. ხანდახან საძაგელ სეზონში გამოერევა ხოლმე, რომ ფიქრობ — ახლა, რაც შეიძლება, დიდი ხნით უნდა დავისვენო, რათა მოედანს ახალი ძალებით დავუბრუნდე, თუმცა გუნდიდან წასვლის გადაწყვეტილებამდე არასდროს მივსულვარ.

— ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა განაცხადა, ფერნანდო ტორესმა ბევრი რამ უნდა დახვეწოსო. ამას როგორ უყურებთ?

— საკმაოდ დადებითად. მწვრთნელებმა თავიანთი ფეხბურთელების დონის გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნონ და არ უნდა გაბრაზდე, როცა დამრიგებელი რაიმეზე მიგითითებს. ლუისი ძალიან მომთხოვნია, მთელი მსოფლიო იცნობს და ვაღიარებ, რომ ბევრ რამეში მეხმარება.

— პენალტების დარტყმას გააგრძელებთ?

— დიახ. ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული, თუმცა პენალტების საქმეში მე თავისუფლებას მანიჭებენ. თუ ჩემი თავის იმედი მექნება, დავარტყამ და თუ რაიმე მიზეზის გამო მტკიცედ არ ვიქნები, ბურთთან სხვას მივუშვებ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ უკვე მოვიდა დრო, რომ ფერნანდო ტორესმა ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს?

— ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია, სადაც თამაშობ, თავი იქ იგრძნო ბედნიერად. დარწმუნებული ვარ, ტიტულებს „ატლეტიკოს“ შემადგენლობაშიც მოვიგებ.

— კი მაგრამ, ასე ევროპულ გრანდებში გადასვლის შანსებს ხელიდან უშვებთ...

— როცა 28 წლის ვიქნები, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება უკვე მექნება და ამას „ატლეტიკოში“ გავაკეთებ. ჩემი მიზანი „ვისენტე კალდერონზე“ დარჩენაა.

— „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში ჯილდოების მოგება ახირებად ხომ არ გექცათ?

— არავითარი ახირება. უბრალოდ, ეს გუნდი მიყვარს და ტიტულების საძიებლად ევროპულ გუნდებში წანწალს არ ვაპირებ.

## გრძელი სერბი ბარსასთვის

„ბარსელონას“ სანტანდერის „რასინგიდან“ აყლაყუდა ნიკოლა ჟიგიჩის ყიდვა უნდა — წერს ესპანური „ასი“.

მადრიდული გაზეთის ცნობით, კონტრაქტის თითქმის ყველა დეტალი შეთანხმებულია და კატალონიელებს სერბი ფორვარდი დაახლოებით 15 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

26 წლის ნიკოლა ჟიგიჩით „მანჩესტერ იუნაიტედი“, ლონდონის „არსენალი“, „ტოტენჰემი“, „ბოლტონი“ და ტურინის „იუვენტუსიც“ სერიოზულად არიან დაინტერესებულნი.

## ქვა და თავი

**სანკტ** პეტერბურგის „ზენიტი“ დიკ ადვოკაატის დაჟინების გამო მოსკოვის „სპარტაკიდან“ ვლადიმირ ბისტროვს აღარ იყიდის.

მარჯვენა ნახევარმცველი ორი წლის წინ გადავიდა ნევისპირული კლუბიდან მოსკოვურში და მას შემდეგ „ზენიტი“ კარგი გარემარბის გარეშე დარჩა. ადვოკაატს ახლა ბისტროვისნაირი აღარ ჰყავს, კლუბის შეფები კი ატყდნენ, უკან დავიბრუნოთ ფეხბურთელი, რომელიც სანკტპეტერბურგელ ქომაგებს ძალიან უყვართო.

მოსკოვის „სპარტაკმა“ 10 მილიონი მოითხოვა და ნევისპირელებიც გაემზადნენ თანხის გადასახდელად, მაგრამ ჰოლანდიელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ბისტროვი ჩემს სქემაში ვერ ჯდებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გმირის კრიტიკა



**„ვესტ ჰემის“** ფანებს არგენტინელი კარლოს ტევესი უყვართ, მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ კი გარისკა და, მათი ფავორიტი გააკრიტიკა.

გააკრიტიკა კი არა, შაბათს, „შეფილდთან“ 0:3 წაგების შემდეგ მას და ტევესს ერთმანეთისთვის გვარიანად შეუღრენიათ კიდეც.

„ვერ დავმალავ, მისი თამაშით საოცრად უკმაყოფილო ვიყავი — თქვა კერბიშლიმ — დიახ, რაც „ვესტ ჰემში“ გადმოვიდა, ტევესი ბევრს შრომობს, მაგრამ ამ დღეს იძულებული შევიქენი, შემეცვალა. „შეფილდ იუნაიტედთან“ დავმარცხდით, ახლა კარგი შედეგი „ჩელსისთან“ გვჭირდება და კარლოსმაც იქ უნდა გამოიჩინოს თავი. ვფიქრობ, „ჩელსისთან“ თამაში ერთგვარი გამოცდაა, სცენაა, სადაც ყველაფერი კარგად გამოჩნდება და ჩემი ფეხბურთელების ჯგუფმა, მათ შორის, ტევესმაც, ეს გამოცდა უნდა ჩააბაროს“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კარლოს ტევესი „ვესტ ჰემის“ ფანთა საყვარელი ფეხბურთელია — ლონდონელებს თამაშის ხარისხის გარდა მისი თავდადება ხიბლავთ, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ არგენტინელ თავდამსხმელს ბოლო ხანს ტრავმა სტანჯავს, ის კი გამაყუჩებლებს იკეთებს და ისე გადის მოედანზე.

**ბაპუნა ძიდია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## რონალდო

თავდამსხმელი

დაიბადა 1976 წლის 22 სექტემბერს რიო დე ჟანეიროში
სიმაღლე: 1,83 მეტრი,
წონა: 84 კგ
კარიერა: 1993-94 წლები — „კრუზეირო“ (14 მატჩი, 12 გოლი), 1994-96 — „პსვ ეინდჰოვენი“ (46 მატჩი, 42 გოლი), 1996-97 — „ბარსელონა“ (37 მატჩი, 34 გოლი), 1997-2002 — „ინტერი“ (68 მატჩი, 49 გოლი), 2002-07 — „რეალი“ (98 მატჩი 69 გოლი), 2007 წლიდან — „მილანი“ (8 მატჩი, 5 გოლი)
1994 წლიდან თამაშობს ბრაზილიის ნაკრებში (97 მატჩი, 62 გოლი)
მეტსახელები: რონი, კიჭა, ფენომენი





## AUDI Q7

გამოშვების თარიღი: 2006 წელი
სიგრძე: 5,085 მეტრი
სიგანე: 1,984 მეტრი
სიმაღლე: 1,697 მეტრი
წონა: 2 245 კგ
ცილინდრი: 6
ძრავის კუბატურა: 3,0
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 250 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 7,4 წამში
ფასი: 55 000 დოლარი

# შენ შეგჭამს ლონდონი!



## არევს მშვიდს შვიდი? იურგენ კლინსმანზე ფინანსური და ფსიქოლოგიური შეტევა დაიწყო



**ესენი,** მგონი, გვაგიჟებენ: პირველი უარით გასტუმრებულმა „ჩელსიმ" ლოს ანჯელესში მოკალათებულ იურგენ კლინსმანს ორიოდ დღის წინანდელი 6,4 მილიონი გირვანქის ნაცვლად ახლა 7 მილიონი შესთავაზა.

„სარბიელის" მკითხველთათვის ისტორია ცნობილია — ლონდონური კლუბის მეპატრონეს, რუს ოლიგარქ რომან აბრამოვიჩს ჟოზე მაურინიუს გაშვება ამოუჭრია გულში და ალტერნატივას ეძებს. რამდენად იოლია დღეს მაურინიუს ალტერნატივის პოვნა, სხვა საკითხია, მაგრამ აბრამოვიჩი არ ცხრება და, როგორც გაირკვა, ბოლოს გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცის იურგენ კლინსმანის შეძენა მოიფიქრა.

რუსი მილიარდერის პირველი ცდა წარუმატებლად დასრულდა — მისმა ემისრებმა კლინსმანისგან უარი მოისმინეს. უარის მიზეზი შეთავაზებული გასამრჯელოს სიმცირე კი არა, ოჯახთან ერთად ამერიკული ცხოვრებით ტკბობა იყო — აქ ისე კარგად ვარ მოწყობილი, მაქეთ გამოხედვა არ მინდაო, უთხრა აბრამოვიჩის ხალხს კლინსიმ.

მოკლედ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მოლაპარაკებები დასრულდა, მაგრამ აი, გათენდა მორიგი დღე და ჩუკოტკის გუბერნატორმა, 7 მილიონი გირვანქაო, შემოსძახა. როგორც ჩანს, აბრამოვიჩის ფილოსოფია ერთ ძველ ხუმრობანარევ სიმართლეს ემყარება: ის, რისი ყიდვაც დიდ ფულად შეუძლებელია, ძალიან დიდ ფულად იყიდება. 7 მილიონი გირვანქა 14,02 მილიონი დოლარი, ანუ 10,34 მილიონი ევროა, თუმცა, ვითომ პირველად შეთავაზებულ 6,4 მილიონსა და დღევანდელ 7 მილიონს შორის (ჩემთვის და თქვენთვის რომ არის, გასაგებია, კლინსმანისთვის ვამბობთ) ამხელა სხვაობაა?

მაგრამ ამ არითმეტიკაში ფსიქოლოგიური თამაშია ჩამალული: ცნობა, კლინსმანისთვის 7 მილიონის შეთავაზების შესახებ, ზუსტად იმ დღეს გამოქვეყნდა, როდესაც გაზეთებმა დაწერეს, რომ ჟოზე მაურინიუ მწვრთნელთა შორის მსოფლიოში ყველაზე მდიდარია — ხელფასიან-პრემიებიანად 2006 წელს 6,8 მილიონი მიუღია.

ამასობაში, ლოს ანჯელესში ოჯახურ მყუდროებაში ჩაფლულ თანამემამულეს შუა ევროპიდან გერმანული ფეხბურთის დიდი ვარსკვლავი და მოღვაწე ფრანც ბეკენბაუერი შეეხმიანა. შეხმიანების შინაარსი დაახლოებით ასეთი გახლდათ: მიდი, ბიჭო, რას უზიხარ, შანსი ხელიდან არ გაუშვა!

„ნამდვილად არ ვიცი, სადამდე გაგრძელდება „ჩელსისთან" ეს დისკუსია, მაგრამ კლინსმანს კატეგორიულად ვუსურვებდი შეთავაზებაზე დათანხმებას. როდესაც იურგენი საქმეს ხელს ჰკიდებს, ის დამუხტული და ანთებულია. მოკლედ, კლინსმანი და „ჩელსი" საუცხოო წყვილია, ოღონდ ამ წყვილს პერსპექტივა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ კლინსმანი კალიფორნიაში ცხოვრებას თავს დაანებებს და ლონდონში გადასახლდება. ინგლისი არის ქვეყანა, რომელიც 20-გუნდიან ჩემპიონატს ატარებს, აქვს ორი თასი და შობისა და ახალი წლის არდადეგებზეც არ ისვენებს, ხოლო ლონდონი ის ქალაქია, რომელიც კანიანად და ძვლიანად გჭამს. ერთი სიტყვით, კაცი, რომელიც ლონდონში მუშაობს, ლონდონში უნდა ცხოვრობდეს და ის, რასაც იურგენი გერმანიის ნაკრებში მუშაობისას აკეთებდა — ამერიკიდან პერიოდულ ჩამოსვლასა და უკან დაბრუნებას ვგულისხმობ — ამ შემთხვევაში არ ივარგებს. მერედა, რომან აბრამოვიჩი ძლიერი კაცია, სერიოზული ხელმძღვანელი. მისი ჯეროვნად შეფასებაა საჭირო. აბრამოვიჩი ის ადამიანია, რომელიც მაურინიუსაც კი დაუპირისპირდა. „ჩელსიში" მუშაობის ორი წელიწადი სხვაგან მუშაობის ოთხ წელიწადს უდრის. ეს გუნდი ადამიანს გამოწურავს და გამოაშრობს, მაგრამ როდესაც იურგენ კლინსმანი ხარ და თან მხოლოდ 42 წლის, შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა".

და ბოლოს შევახსენებთ კიდევ ერთს: კვირას, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ჩელსიმ" „ბლექბერნს" 2:1 მოუგო და ფინალში გავიდა. ამ მატჩის შემდეგ ლონდონელთა კლუბის პრეზიდენტი აბრამოვიჩი და მწვრთნელი მაურინიუ ერთმანეთს შეხვდნენ და გადაეხვივნენ. როგორც პრესამ მაურინიუსგან შეიტყო, მათ ერთმანეთს გამარჯვება მიულოცეს და ამით გააჩინეს ეჭვი, რომ სამი თვის უნახავთა შორის ყველაფერი მოგვარდა. ამას დაემთხვა კლინსმანის პირველი ლოსანჯელოსური უარიც, მაგრამ მერე რაც მოხდა, ამ წერილში უკვე გითხარით.

ასე რომ, მოდი და გაიგე, რა ხდება...

**პაპუნა ძიდია**

---

### ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

**მანჩესტერი 2:0 შეფილდი**

1:0 კარიკი (4), 2:0 რუნი (50)

**მანჩესტერი:** კუშჩაკი, ფლეტჩერი, ვ. ბრაუნი, ჰაინცე, ევრა (რიჩარდსონი 21), რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი (სოლსკიაერი 80), ა. სმიტი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**შეფილდი:** კენი, გირი, მორგანი, კოზლუკი (არმსტრონგი 77), კილგალონი, იაგიელკა, ვებერი, მონტგომერი, ტონგე, კაზიმ-რიჩარდსი (გილესპი 55), შელტონი (ნადე 89)
მწვრთნელი: ნილ უორნოკი

გაფრთხილება: სმიტი, რუნი, რონალდუ, გირი, მორგანი, არმსტრონგი
მსაჯი: სტაილზი
76 540 მაყურებელი

**არსენალი 3:1 სიტი**

1:0 როსიცკი (12), 1:1 ბისლი (41), 2:1 ფაბრეგასი (73), 3:1 ბაპტისტა (80)

**არსენალი:** ლემანი, ებუე, ტურე, გალასი, კლიში, გლები, ფაბრეგასი (დენილსონი 85), ჟილბერტო სილვა, როსიცკი (სენდეროსი 90), დიაბი (ბაპტისტა 30), ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**სიტი:** ისაკსონი, ონუოჰა, დანი, დისტინი (კორადი 78), ბოლი, ჟიხაი (სამარასი 78), ჰამანი, ბარტონი, დ. ჯონსონი, ბისლი, ვასელი (აირლენდი 90)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
მსაჯი: ჰალსი
59 913 მაყურებელი

# იღბლის ნამცეცი და ნაბიჯი წინ



„მანჩესტერ" — „შეფილდის" მატჩით ნილ უორნოკი უკმაყოფილო დარჩა

AFP

**„მანჩესტერმა"** კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ, უეინ რუნიმ კი სეზონში თავისი მეოცე გოლი გაიტანა.

„მანჩესტერმა" მაიკლ კარიკის ადრიანი და რუნის გოლებით მოუგო „შეფილდს", თუმც კი მეორე ტაიმში ნალდ პენალტს გადაურჩა მას შემდეგ, რაც გაბო ჰაინცემ იუტონ შელტონი მოცელა.

თამაშის შემდეგ ალექს ფერგიუსონმა სეზონში 25 გოლი მოსთხოვა რუნის და ხალხს შეახსენა, კრიშტიანუ რონალდუსთან უკვე 40-გირვანქიანი ნიძლავი წავაგე, სეზონში 10 გოლზე გავურიგდი, ის კი უკვე 25-ს უნდა გადასცდესო.

„უეინიც 25-ს დამპირდა და თუ ვერ გაიტანს, კრიშტიანუსთან წაგებულ ფულს ამოვიღებ" — იხუმრა ფერგიუსონმა.

33 წლის რაიან გიგზისთვის კი ეს თამაში მე-500 სალიგო გამოდგა და თუ „მანჩესტერი" წლეულს ჩემპიონი გახდება, გიგზი ამ ტიტულით ლეგენდარულ ლივერპულელ ალან ჰანსენს გადაუსწრებს, რომელიც რვაგზის ყოფილა ჩემპიონი.

თუმც სხვაგვარ ხასიათზე იყო შეფილდელთა მენეჯერი ნილ უორნოკი, რომელიც არდანიშნულმა პენალტმა გააცოფა და მსაჯი რობ სტაილზი სასტიკად გააკრიტიკა: „მათ სერ ალექსის წყენინება არ უნდოდათ. მე კარგად ვიცნობ იმ ხალხს, ვინც მის წყენინებას ერიდება. მათ „ოლდ ტრაფორდის" მაყურებელსაც არ აწყენინეს. აქ ხომ ძნელია მასპინძელთა წყენინება. პენალტიც იყო და ჰაინცეც უნდა გაეძევებინათ".

ფერგიმ კი თქვა, რომ პენალტის დადება შეიძლებოდა და მისმა გუნდმა იღბლის ნამცეციც მიიღო.

დღის მეორე თამაშში „არსენალმა" 3:1 მოუგო „სიტის" და ჩემპიონთა ლიგის საგზურისკენ წაიწია. ხოლო ოთხ დღეში მეორედ გაიტანა სესკ ფაბრეგასმა, რომლის გოლებსაც „მეთოფენი" 11 თვე ელოდნენ. ახლა „არსენალი" 8 ქულით უსწრებს მეხუთე ადგილზე აცოცებულ „ევერტონს", არსენ ვენგერი კი კმაყოფილია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 33 | 26 | 3 | 4 | 77:23 | 81 |
| ჩელსი | 32 | 23 | 6 | 3 | 56:19 | 75 |
| არსენალი | 34 | 18 | 8 | 8 | 57:31 | 62 |
| ლივერპული | 33 | 18 | 7 | 8 | 50:22 | 61 |
| ევერტონი | 34 | 14 | 12 | 8 | 46:30 | 54 |
| ბოლტონი | 34 | 16 | 6 | 12 | 41:42 | 54 |
| პორტსმუთი | 34 | 13 | 10 | 11 | 43:38 | 49 |
| ტოტენჰემი | 33 | 14 | 7 | 12 | 47:48 | 49 |
| რედინგი | 34 | 14 | 6 | 14 | 45:41 | 48 |
| ასტონ ვილა | 34 | 9 | 15 | 10 | 36:39 | 42 |
| ნიუკასლი | 34 | 11 | 8 | 15 | 37:43 | 41 |
| სიტი | 34 | 11 | 8 | 15 | 27:38 | 41 |
| ბლექბერნი | 32 | 12 | 4 | 16 | 38:47 | 40 |
| მიდლსბრო | 33 | 10 | 9 | 14 | 37:42 | 39 |
| უიგანი | 34 | 9 | 8 | 17 | 35:52 | 35 |
| ფულემი | 34 | 7 | 14 | 13 | 34:53 | 35 |
| შეფილდი | 34 | 9 | 7 | 18 | 29:49 | 34 |
| ჩარლტონი | 34 | 8 | 8 | 18 | 30:51 | 32 |
| ვესტ ჰემი | 33 | 8 | 5 | 20 | 26:54 | 29 |
| უოტფორდი | 33 | 4 | 11 | 18 | 24:53 | 23 |

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩები**

**ბარნლი 3:0 ნორვიჩი**
**ლესტერი 1:2 ბირმინგემი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 43 | 25 | 7 | 11 | 67:42 | 82 |
| ბირმინგემი | 43 | 24 | 8 | 11 | 62:39 | 80 |
| დერბი | 43 | 23 | 9 | 11 | 59:44 | 78 |
| პრესტონი | 43 | 21 | 8 | 14 | 63:50 | 71 |
| ვესტ ბრომვიჩი | 43 | 20 | 10 | 13 | 71:52 | 70 |
| ვულვზი | 43 | 20 | 10 | 13 | 51:52 | 70 |
| სტოკი | 43 | 18 | 14 | 11 | 57:38 | 68 |
| საუთჰემპტონი | 43 | 18 | 12 | 13 | 71:52 | 66 |
| კოლჩესტერი | 43 | 19 | 9 | 15 | 66:50 | 66 |
| უენსდი | 43 | 18 | 11 | 14 | 64:61 | 65 |
| კარდიფი | 43 | 17 | 13 | 13 | 56:48 | 64 |
| კრ. პალასი | 43 | 16 | 11 | 16 | 55:49 | 59 |
| პლიმუთი | 43 | 14 | 16 | 13 | 57:60 | 58 |
| იფსვიჩი | 43 | 17 | 6 | 20 | 59:56 | 57 |
| ნორვიჩი | 43 | 16 | 8 | 19 | 53:66 | 56 |
| ბარნლი | 43 | 14 | 12 | 17 | 46:42 | 54 |
| ქოვენთრი | 43 | 15 | 8 | 20 | 44:58 | 53 |
| ქუინზ პარკი | 43 | 13 | 10 | 20 | 52:65 | 49 |
| ლესტერი | 43 | 11 | 14 | 18 | 46:59 | 47 |
| ბარნსლი | 43 | 14 | 5 | 24 | 51:77 | 47 |
| ჰალი | 43 | 12 | 9 | 22 | 48:64 | 45 |
| ლიდსი | 43 | 13 | 6 | 24 | 45:68 | 45 |
| საუთენდი | 43 | 10 | 12 | 21 | 44:71 | 42 |
| ლუთონი | 43 | 9 | 10 | 24 | 50:74 | 37 |

# ბუუუ!

## რამდენი მანჩესტერია ინგლისში?

**„არსენალის"** მწვრთნელი არსენ ვენგერი ამბობს, რომ ფანებს სრული უფლება აქვთ, თავიანთ გუნდს... უსტვინონ, უფრო სწორად კი (სტვენა უფრო ჩვენში იციან), „ბუუუ" ეძახონ.

„ჩვენ პროფესიონალები ვართ და გულშემატკივრის რეაქციებს მშვიდად უნდა შევხვდეთ — ბრძანა ფრანგმა სპეციალისტმა — ამასთან, ფანების სხვა ჭკუაზე დაყენებაც ჩვენი ამოცანაა".

ვენგერისგან განსხვავებით, „არსენალისგან" დამარცხებული „მანჩესტერ სიტის" თავკაცი სტიუარტ პირსი სხვაგვარად სჯის:

„ეს იგივეა, თეატრში რომ წავიდე, სპექტაკლი ვნახო, შინ დაბრუნების წინ კი მსახიობებს ხელფასი დავაყვედრო, მივაძახო, რომ ისინი ჩემი ჯიბიდან გადახდილი ფულით არსებობენ. პრემიერლიგაში პირველი ორი გუნდის გარდა თავის სტადიონზე ყველას უსტვენენ. ასეთია ახალი ტრადიცია. ასე იყო ჩვენი და „არსენალის" შეხვედრაშიც. მთელი 60 წუთის განმავლობაში თავი მანჩესტერში მეგონა. ვიფიქრე, ალბათ შინ ვთამაშობთ და ეს ხალხი ჩემს წინააღმდეგ ხმაურობს-მეთქი. შემდეგ მათმა ფეხბურთელმა ჩინებული გოლი გაიტანა და ყველაფერი ჩაწყნარდა".

**პაპუნა ძიდია**

# იტალია

## სერია A
## გადადებული XXII ტური

### ასკოლი 2:5 მილანი

0:1 ჟილარდინო (3), 0:2 კაკა (25პ), 0:3 ჟილარდინო (27), 1:3 დი ბიაჯო (33პ), 1:4 კაკა (35), 2:4 გუბერტი (41), 2:5 ზეედორფი (75)
ასკოლი: ელეფთეროპულოსი, მელარა, დი ბიაჯო (ფინი 46), ფოლიო, კორალო, ლომბარდი, პესკე, ბუდიანსკი, გუბერტი, პაოლუჩი (მ. დელვეკიო 72), სონჩინი (პერული 46)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
მილანი: კალაჩი, ოდო, ნესტა, ბონერა, იანკულოვსკი, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, კაკა (გატუზო 46), ჟილარდინო (გრიმი 79), რონალდო (რ. ოლივეირა 67)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: მელარა, ელეფთეროპულოსი, კორალო, ლომბარდი, გატუზო, ბონერა, ფოლიო
მსაჯი: ბიროლდი
12 000 მაყურებელი

### ინტერი 1:3 რომა

0:1 პეროტა (44), 1:1 მატერაცი (52პ), 1:2 ტოტი (89), 1:3 კასეტი (90)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, გროსო (დაკური 61), ხ. ძანეტი, კამბიასო (რეკობა 90), სტანკოვიჩი, ფიგუ, ადრიანო (კრუზი 61), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
რომა: ა. დონი, ფერარი, მექსეში, კივუ, პანუჩი, დე როსი, დ. პიზარო, ვილჰელმსონი (კასეტი 74), პეროტა, მანსინი (ვუჩინიჩი 78), ტოტი (ტონეტო 90)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ფიგუ, ძანეტი, მანსინი, პიზარო, მექსეში, სტანკოვიჩი, მატერაცი, კამბიასო, დონი
მსაჯი: ტრეფოლონი
70 000 მაყურებელი

### ლაციო 0:0 კიევო

ლაციო: პერუცი, ბეჰრამი, სივილია, ბონეტო, ძაური, მუდინგაი, ლედესმა, კ. მანფრედინი (ტარე 84), ლ. ხიმენესი (ბელერი 46), პანდევი (მაკინვა 62), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
კიევო: სკიეცი, მალაგო, მანდელი, მანტოვანი, მარკეზე (დელ მარე 84), იტალიანო, ლუსიანო, სამარკო, სემიოლი (ბოგდანი 60), ობინა (ტროიანო 47), პელისიერი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ძაური, ობინა, ბეჰრამი, მარკეზე, ბეჰრამი, ლუსიანო, სკიეცი, ძაური
გაძევება: ბეჰრამი (45), სამარკო (45), ძაური (90)
მსაჯი: ბერგონცი
45 000 მაყურებელი

### ემპოლი 2:0 ატალანტა

1:0 საუდატი (35), 2:0 ალმირონი (54)
ემპოლი: ბასი, რაჯი, ლუკინი (ტოსტო 65), ადანი, პრატალი, ალმირონი, ბუშე, დ. მორო, ვანუკი, პოცი, საუდატი (მატეინი 57; მარიანინი 83)
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
ატალანტა: კალდერონი, ლორია, ტალამონტი, ბელინი, არიატი, ბერნარდინი (რივალტა 46), ბომბარდინი (ტისონე 66), დეფენდი, დონატი, მილიაჩო, ვენტოლა (ვიერი 71)
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: პოცი, ბელინი, ბელინი
გაძევება: ბელინი (44)
მსაჯი: პერბერგი
15 000 მაყურებელი

### პარმა 2:0 ფიორენტინა

1:0, 2:0 როსი (27, 89პ)
პარმა: ბუჩი, ფ. კოლი, ფ. კოუტუ კონტინი, პ. კასტელინი, დესენა, ჩიგარინი, პარავიჩინი (გრელა 81), მუსლიმოვიჩი (მორფეო 77), ბუდანი (პაჩი 65), ჯ. როსი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ფიორენტინა: ფრეი, პოტენცა (რეგინალდო 74), კროლდრუპი, დაინელი, პასკუალი, ბლაზი (ლივერანი 46), მონტოლივო, კუზმანოვიჩი (პაცინი 60), იორგენსენი, ტონი, მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: კროლდრუპი, ბლაზი, დაინელი, პარავიჩინი, დესენა, ბუჩი
მსაჯი: ჯანნოჩარო
21 500 მაყურებელი



AFP

# საინტერესო და არა საინტერო
## რომამ ვადებს და რეკორდებს დაუზღვირა

### უდინეზე 1:0 სამპდორია

1:0 იაკინტა (51პ)
უდინეზე: დე სანქტისი, ზაპოტოჩნი, ნატალი, საპატა, მ. მოტა, პინცი, გ. დაგოსტინო (შივოკი 79), მუნტარი, დოსენა, იაკინტა (გიანი 86), დი ნატალე (ბარეტო 64)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
სამპდორია: ბერტი, კ. ძენონი (რომეო 68), ფალკონე, აკარდი, პიერი, მაჯო, ვოლპი, პაროლა, კომანი (დ. ფრანჩესკინი 46), ბაცანი (პალომბო 73), კალიარელა
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კალიარელა, პაროლა, დოსენა, აკარდი, ზაპოტოჩნი, მუნტარი, ნატალი
მსაჯი: დამატო
20 000 მაყურებელი

### ლივორნო 2:1 კალიარი

1:0 ლუკარელი (5), 1:1 სუაზო (61პ), 2:1 კნეჟევიცი (67)
ლივორნო: ამელია, გრანდონი, გალანტე (კნეჟევიცი 60), პავანი, პასკუალე, სეზარი (პფერცელი 72), ა. ფილიპინი, მორონე, ფიორე (კ. კოპოლა 83), პასონი, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფერნანდო ორსი
კალიარი: კიმენტი, ფერი, აგოსტინი (მარკინი 46), ბიანკო, დელ გროსო, დ. ლოპესი, ბიონდინი (ბუდელი 46), კონტი, ა. დაგოსტინო (კაპონე 79), პეპე, სუაზო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: მორონე, ბიანკო, ფერი, გალანტე, სეზარი, პავანი, მარკინი
მსაჯი: გავა
16 000 მაყურებელი

### რეჯინა 3:1 მესინა

1:0 ბიანკი (12), 1:1 რიგანო (27პ), 2:1, 3:1 ამორუზო (54, 70პ)
რეჯინა: კამპანოლო, ლანძარო, ა. ლუკარელი, არონიკა, მესტო, ამერინი, ჯაკომო ტედესკო, მოდესტო, ფოჯა (ტონოცი 78), ნ. ამორუზო (ნარდინი 87), ბიანკი (ვიჯანი 60)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
მესინა: პოლეტი, ძანკი, იულიანო, მორელო, ჯალომბარდო, ე. ალვარესი (ლავეკია 73), პესტრინი, კანდელა, მაზიელო (პარიზი 67), ბაკაიოკო (ფლოკარი 68), რიგანო
მწვრთნელი: ბრუნო ჯორდანო
გაფრთხილება: იულიანო, რიგანო, მოდესტო, პესტრინი, კანდელა, პარიზი
გაძევება: მორელო (70)
მსაჯი: რიცოლი
15 000 მაყურებელი

### სიენა 1:0 ტორინო

1:0 ანტონინი (65)
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, რინაუდო, პორტანოვა, მოლინარო, ალბერტო (ნეგრო 81), კოდრია (ერიომენკო 56), ვერგასოლა, ანტონინი (გალოპა 69), კოზა, კორვია
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ტორინო: აბიატი, კომოტო, ბრევი, ი. ფრანჩესკინი, ბალესტრი, ბარონე (კონანი 71), არდიტო, როზინა, მუცი (სტელონე 60), ლაზეტიჩი (კოკო 74), აბრუსკატო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: მოლინარო, ბერტოტო, კორვია, არდიტო, პორტანოვა
მსაჯი: რომეო
11 500 მაყურებელი

### კატანია 1:2 პალერმო

მილანის „ინტერის“ ჩემპიონობა, სულ მცირე, ერთი ტურით გადაიდო. რობერტო მანჩინის გუნდმა საკუთარ „სან სიროზე“ „რომასთან“ პრინციპული მატჩი დათმო და ამ გუნდებს შორის სხვაობა 13 ქულამდე შემცირდა. თუ სასწაული არ მოხდა, „ნეროაძური“ ჩემპიონი მაინც გახდება, მაგრამ ამ მარცხში ყველაზე საწყენი ის გახლდათ, რომ 2006 წლის 30 აპრილის მერე, ეს სერია A-ში „ინტერის“ პირველი წაგება იყო. მაშინ „შავ-ლურჯებმა“ „ემპოლისთან“ მარკო მატერაცის სახალისო ავტოგოლით წააგეს. მატერაციმ ამჯერადაც გაიტანა, ოღონდ მეტოქის კარში, მაგრამ...

პირველ ტაიმში „რომამ“ მეტოქეს აშკარად აჯობა. ჟულიო სეზარის კართან მწვავე მომენტები მრავლად იყო. აქედან ორი გამოვარჩიოთ — სიმონე პეროტამ ფრანჩესკო ტოტის დარტყმულს კი დაამატა, მაგრამ მაინცდამაინც კარის დასაცავად ატუზულ დუგლას მაიკონს გაარტყა. ამანტინო მანსინის გასროლილს კი სეზარმა ეფექტურ ნახტომში ხელი შეახო და ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

„ინტერმა“ პირველი რეალური მომენტი ტაიმის მიწურულს შექმნა, ისიც დეიან სტანკოვიჩის შორეულ დარტყმას მოჰყვა — ბურთი ხარიხას მოხვდა. ცოტა ხანში კი პეროტამ ბოლო-ბოლო გამოიყენა მომენტი, მაგრამ ამ ეპიზოდში გატანა უფრო ადვილი იყო, ვიდრე აცილება. „რომას“ ჩინებული კომბინაცია ტოტი-მანსინი-დე როსი-კივუ „კიევოს“ ყოფილმა ნახევარმცველმა ცარიელ კარში ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

მეორე ტაიმი სულ სხვაგვარი გამოდგა. „ინტერი“ თავიდანვე შეტევებში წავიდა და მალევე მიაღწია მიზანს. ზლატან იბრაჰიმოვიჩის ჭკვიანურ პასს ადრიანო კი მისწვდა, მაგრამ წაიქცა, სტუმართა მეკარე დონი მას თითქოს არ შეხებია, მაგრამ ტრეფოლონიმ ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა, რომელიც მატერაციმ დაარტყა და ზუსტადაც.

„ინტერს“ შეტევები არ შეუწყვეტია და რამდენიმე ნაღდი შანსიც გააცუდა. ერთ ეპიზოდში ადრიანოს თავური საოცარი რეაქციით მოიგერია დონიმ. ხოლო როცა თითქოს ყველაფერი ფრისკენ მიდიოდა მასპინძელთა კართან ჯარიმა დაინიშნა, ფრანჩესკო ტოტიმ დაარტყა, ბურთი ლუიშ ფიგუს მოხვდა და რიკოშეტით შევარდა სეზარის კარში.

შეტევებში გართული „ინტერი“ დამატებულ წუთებზე მესამე გოლითაც დაისაჯა — შეცვლაზე შესულმა მარკო კასეტიმ რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა და შორეულ დაბალ კუთხეში დაარტყა.

შარშანდელი აპრილის მერე სერია A-ში პირველი მარცხი ერთია და, მთლიანად ყველა ტურნირის ჩათვლით, „ინტერს“ ასევე 2006 წლის სექტემბრის მერე არ წაუგია. ამ მარცხით ხაზი გაესვა „ნეროაძურის“ კიდევ ორ მიზანს — სეზონის წაუგებლად ჩატარებას, რაც აქამდე 1993-94 წლების სეზონში მისმა მოსისხლე მტერმა „მილანმა“ შეძლო და 100 ქულის მოგროვებას. მანჩინის შეგირდებმა ყველა დარჩენილი შეხვედრა რომც მოიგონ, 99 ქულა გამოუვათ.

ორიოდ სიტყვა სხვა მატჩებზეც ვთქვათ და „მილანით“ დავიწყოთ, რომელმაც აუტსაიდერ „ასკოლთან“ გაისეირნა და მეოთხე ადგილს უახლოეს მდევრებთან ოთხქულიანი უპირატესობით ინარჩუნებს. „როსონერის“ რიგებში დუბლი შეასრულეს ალბერტო ჟილარდინომ და კაკამ. ერთიც შორეული დარტყმით კლარენს ზეედორფმა გაიტანა. მასპინძელთაგან ლუიჯი დი ბიაჯომ და გუბერტიმ იხეირეს.

დაშავებული დიდას ნაცვლად „როსონერის“ კარს ჟელკო კალაჩი იცავდა. ვთქვათ ისიც, რომ „მილანში“ ლეანდრო გრიმის ოფიციალური დებიუტი შედგა — იგი მინდორზე 79-ე წუთზე შევიდა.

ამ მოგებით „მილანმა“ მესამეადგილოსან „ლაციოსთან“ სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, რადგან დელიო როსის შეგირდებმა „კიევოს“ „სტადიო ოლიმპიკოდან“ ქულა გაატანეს. უგოლო მატჩი საინტერესო 3 წითელი ბარათით იყო. 44-ე წუთზე ლაციოელმა ვალონ ბეჰრამიმ ფრანკო სემიოლი მოცელა, მის გამოსაქომაგებლად მისულ პაოლო სამარკოს კი თავი ჩაარტყა. მსაჯმა რატომღაც მინდვრიდან სამარკოც გააგდო. მეორე დამატებულ წუთზე კი ლუჩანო ძაურიც გააძევეს და „ბიანკოჩელესტიმ“ ბოლო წამები 9 კაცით ჩაამთავრა.

„რეჯინასა“ და „მესინას“ ექსტრაულიანი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს. რეჯოკალაბრიელებმა მეორე ტაიმში გატეხეს მეტოქე და უმნიშვნელოვანესი ქულები მიითვალეს.

„მესინასა“ და „ასკოლის“ კი ცალი ფეხი უკვე სერია B-ში აქვთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 32 | 25 | 6 | 1 | 56:28 | 81 |
| რომა | 32 | 20 | 8 | 4 | 65:24 | 68 |
| ლაციო | 32 | 17 | 9 | 6 | 54:26 | 57 |
| მილანი | 32 | 17 | 10 | 5 | 50:29 | 53 |
| პალერმო | 32 | 13 | 10 | 9 | 46:39 | 49 |
| ემპოლი | 32 | 13 | 10 | 9 | 35:31 | 49 |
| ფიორენტინა | 32 | 17 | 8 | 7 | 52:28 | 44 |
| უდინეზე | 32 | 11 | 9 | 12 | 41:44 | 42 |
| ატალანტა | 32 | 9 | 12 | 11 | 45:45 | 39 |
| სამპდორია | 32 | 10 | 9 | 13 | 37:41 | 39 |
| ლივორნო | 32 | 8 | 12 | 12 | 34:47 | 36 |
| სიენა | 32 | 7 | 14 | 11 | 28:35 | 34 |
| კალიარი | 32 | 7 | 13 | 12 | 27:35 | 34 |
| კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38:61 | 33 |
| ტორინო | 32 | 8 | 8 | 16 | 25:43 | 32 |
| რეჯინა | 32 | 10 | 11 | 11 | 42:43 | 30 |
| კიევო | 32 | 6 | 11 | 15 | 33:43 | 29 |
| პარმა | 32 | 6 | 11 | 15 | 28:49 | 29 |
| მესინა | 32 | 5 | 9 | 18 | 30:55 | 24 |
| ასკოლი | 32 | 3 | 11 | 18 | 26:56 | 20 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

### XXXIII ტური

22 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| კატანია | : | ასკოლი |
| მილანი | : | კალიარი |
| ლაციო | : | ფიორენტინა |
| სიენა | : | ინტერი |
| კიევო | : | ლივორნო |
| პალერმო | : | პარმა |
| სამპდორია | : | მესინა |
| ატალანტა | : | რომა |
| ემპოლი | : | ტორინო |
| რეჯინა | : | უდინეზე |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 21 |
| ბიანკი (რეჯინა) | 17 |
| ქ. ლუკარელი (ლივორნო) | 17 |
| ტონი (ფიორენტინა) | 16 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 15 |
| როკი (ლაციო) | 15 |
| იაკინტა (უდინეზე) | 14 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 14 |

## სერია B
### გადადებული XXII ტური

ჩეზენა — სპეცია 1:0; ალბინოლეფე — ლეჩე 0:0; ბარი — კროტონე 2:1; ბოლონია — პესკარა 2:1; ფროზინონე — ტრიესტინა 2:0; ჯენოა — ვიჩენცა 2:0; პიაჩენცა — ბრეშა 1:2; ტრევიზო — ნაპოლი 0:3; ვერონა — მოდენა 1:1; იუვენტუსი — რიმინი 0:0; მანტოვა — არეცო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 33 | 22 | 9 | 2 | 63:21 | 66 |
| ჯენოა | 33 | 18 | 7 | 8 | 52:34 | 61 |
| ნაპოლი | 33 | 15 | 14 | 4 | 41:25 | 59 |
| რიმინი | 33 | 14 | 12 | 7 | 43:26 | 54 |
| მანტოვა | 33 | 12 | 17 | 4 | 40:26 | 53 |
| ბოლონია | 33 | 15 | 8 | 10 | 39:32 | 53 |
| პიაჩენცა | 33 | 15 | 5 | 13 | 43:41 | 50 |
| ბრეშა | 33 | 12 | 10 | 11 | 35:37 | 46 |
| ალბინოლეფე | 33 | 9 | 18 | 6 | 34:29 | 45 |
| ჩეზენა | 33 | 12 | 9 | 12 | 43:48 | 45 |
| ლეჩე | 33 | 12 | 6 | 15 | 41:44 | 42 |
| ფროზინონე | 33 | 10 | 12 | 11 | 34:40 | 42 |
| ვიჩენცა | 33 | 10 | 10 | 13 | 35:33 | 40 |
| ტრიესტინა | 33 | 10 | 11 | 12 | 27:37 | 40 |
| ტრევიზო | 33 | 9 | 12 | 12 | 33:36 | 39 |
| ბარი | 33 | 9 | 12 | 12 | 28:32 | 39 |
| ვერონა | 33 | 9 | 11 | 13 | 22:30 | 38 |
| მოდენა | 33 | 8 | 9 | 16 | 28:38 | 33 |
| სპეცია | 33 | 7 | 12 | 14 | 34:46 | 33 |
| კროტონე | 33 | 6 | 11 | 16 | 28:50 | 29 |
| არეცო | 33 | 5 | 14 | 14 | 25:37 | 23 |
| პესკარა | 33 | 5 | 9 | 19 | 26:52 | 23 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო „პარმამაც“ — კლაუდიო რანიერის შეგირდებმა საკუთარ „ენიო ტარდინიზე“ ევროსაგზურისთვის მებრძოლი „ფიორენტინა“ გააკრეს ბეჭებზე. მასპინძელთაგან დუბლი ახალგაზრდა ჯუზეპე როსიმ მიითვალა.

„სიენამ“ კი „ტორინო“ დაამარცხა და მდგომარეობაც საგრძნობლად გაიუმჯობესა.

**გიორგი ძაძამიძე**




# დიდი ფულის ამბავი
## ბერლუსკონი რონალდინიოში 100 მილიონს იხდის

იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის რონალდინიოს ტრანსფერისთვის 100 მილიონი ევრო გაუმზადებია.

რარიგ სურს დონ სილვიოს ბრაზილიელი ვარსკვლავის ხელში ჩაგდება, გეცოდინებათ. მოკლედ, საქმე ისეა, თუ თავად ფეხბურთელიც ისურვებს და „ბარსელონა“ მისი დაკავებით თავს არ მოიკლავს, რონალდინიოს „სან სიროზე“ გადაბარგებას წინ ვერაფერი დაუდგება.

ბერლუსკონიმ „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში დაადასტურა, რონალდინიოსთვის 100 მილიონი გადავდეთო.

იტალიური პრესის ვარაუდით, აქედან „ბარსამ“ 60 მილიონი უნდა მიიღოს, რონალდინიომ კი 40. რაც იმას ნიშნავს, რომ „მილანს“ ბრაზილიელთან ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს და მისი ხელფასი სეზონში სარეკორდო 8 მილიონი იქნება.

შეგახსენებთ, რომ რონალდინიოს კატალონიურ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2010 წელს ეწურება და როგორც მისმა ძმამ და აგენტმა რობერტო დე ასისმა განაცხადა, თუ „დინიო“ „ბარსელონადან“ წავა, მხოლოდ „მილანში“!

**კოკი კანდელაკი**

# რეალზე ბავშვობიდან ვოცნებობ
## კაკა: მილანი თუ გამიშვებს, წავალ!

იტალიური „მილანის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა კვლავ მადრიდის „რეალის“ სამიზნეა. „სამეფო გუნდი“ ზაფხულში ცდას არ დააკლებს, რათა იგი ხელში ჩაიგდოს. როგორც ირკვევა, საქმე აქამდე თუ მივიდა, ამ ტრანსფერის წინააღმდეგი არც თავად კაკა იქნება. ახლახან მან ესპანური გამოცემა „მარკას“ ჟურნალისტს რამდენიმე კითხვაზე უპასუხა...



— მართლაც არის იმის რეალური შანსი, რომ „რეალში“ გადახვიდეთ?

— რა რეალური შანსი?

— „რეალი“ რომ დაგიკავშირდეთ, უარს ეტყვით თუ მოლაპარაკებას დაიწყებთ?

— „რეალი“ ჯერ „მილანს“ უნდა დაუკავშირდეს. მე პრობლემა არ მექნება, თუ კლუბები შეთანხმებას მიაღწევენ. „მილანს“ არასოდეს ვუღალატებ, მაგრამ თუ „როსონერის“ ხელმძღვანელობა ჩემ გაშვებას გადაწყვეტს და სხვა გუნდთან შეთანხმებას მიაღწევს, წავალ.

— თქვენი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი ხართ?

— მე ვთვლი, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ვარ და ვთამაშობ ისეთ კლუბში, რომელიც გაბრწყინების საშუალებას მაძლევს. მსოფლიოში საუკეთესო რომ იყო, ამისთვის შენი გუნდი ტიტულებს უნდა იგებდეს. თუ „მილანი“ ამას მოახერხებს, ეგებ ინდივიდუალური ჯილდოები, „ოქროს ბურთი“ და ფიფას წლის ფეხბურთელის წოდებაც მოვიპოვო.

— თქვენს მომავალზე ამდენი მითქმა-მოთქმით დაიღალეთ?

— სიმართლე გითხრათ, ჩემს მომავალზე არც ვფიქრობ. არ ვიცი, რა იქნება ხვალ. ამიტომ ამას დიდი აზრი არა აქვს. ადამიანი მომავალზე განსაკუთრებით მაშინ ფიქრობს, როცა ცუდი პერიოდი უდგას, მე კი თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— გულახდილად გვითხარით, ბავშვობაში რომელი გუნდი მოგწონდათ?

— მადრიდის „რეალში“ თამაშზე ვოცნებობდი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ „მილანში“ ძალიან ბედნიერი ვარ.

# ვილიარეალი ქალბატონს ყველაფერზე ელაპარაკება

ესპანური „ვილიარეალის“ უფროსობა ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელ მარსელო ზალაიეტას შეძენას აპირებს — ამტკიცებს იტალიური მედია.

ამბობენ, ურუგვაელი ფორვარდი „იუვენტუსს“ 4 მილიონი ევროს საფასურად დატოვებს.

მოლაპარაკებები უკვე დაიწყო, თუმც საქმე ალბათ სეზონის ბოლომდე, ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონატების დასრულებამდე არ გაიჩარხება.

ზალაიეტასთან ერთად კი „ვილიარეალში“ შეიძლება, დეპორტივოელი ხუან კაპდევილაც გადავიდეს.

„იუვენტუსში“ კი ალესიო ტაკინარდის დაბრუნება იგეგმება. თუ ალესიომ ისევ „ბებერ ქალბატონს“ მიაკითხა, „ვილიარეალი“ შეეცდება, ლისაბონის „ბენფიკას“ 27 წლის ბერძენი კონსტანტინოს კაცურანისი იყიდოს, რომლითაც ბრემენის „ვერდერიცაა“ დაინტერესებული.

**ლადო ხომერიკი**

# ვერაფრით წარმომიდგენია, როგორ ვეთამაშო იტალიას
## ლიპის შვებულება გაუტკბა

მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ შვებულების შეწყვეტას არ აპირებს და ფეხბურთს არც ამ ზაფხულს დაუბრუნდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას არაერთხელ უთქვამს, შუა სეზონში გუნდის ჩაბარება სწორად არ მიმაჩნია და ასეთ საქმეს ხელს არ მოვკიდებო, იტალიელი ტაქტიკოსის დაბრუნებას მომავალი სეზონის ბოლომდე არ უნდა ველოდოთ.



„მწვრთნელობას ამ ზაფხულს არ განვაახლებ. ეს საქმე ჯერ არ მომნატრებია — თქვა ლიპიმ — შემოთავაზებები მხოლოდ უცხოეთიდან მივიღე, იტალიიდან არავინ დამკავშირებია. ჩემი აზრით, ნამდვილი ფეხბურთი უფრო სანაკრებოა, რადგან როცა ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავ, სხვა სულისკვეთება გაქვს. ასევე ვფიქრობ, რომ ყველა ქვეყანას იქაური მწვრთნელი უნდა ჰყავდეს. წარმომიდგენია, სხვა ნაკრებს რომ ვწვრთნიდე და იტალიის წინააღმდეგ დამჭირდეს თამაში... ეს ძალიან რთული იქნება“.

**გიორგი კაკაბაძე**

## შვედეთი
### ალსვენსკა. II ტური

გიოტებორგი 1:2 აიკ
იორებრო 1:1 ელფსბორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ჰამარბი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| მალმიო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჰელსინგბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| იურგორდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბრომაპოიკარნა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| აიკ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰალმსტადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ელფსბორგი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| იორებრო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გიოტებორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გაის | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| გეფლე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტრელებორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

## პოლონეთი
### I ლიგა. XXII ტური

პლოცკი 0:3 ლეგია
კორონა 3:0 ვიძევი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორონა | 22 | 13 | 4 | 5 | 34:20 | 43 |
| ბელხატოვი | 21 | 13 | 3 | 5 | 47:22 | 42 |
| ზაგლებე | 21 | 11 | 7 | 3 | 31:22 | 40 |
| ლეგია | 22 | 11 | 4 | 7 | 38:22 | 37 |
| ვისლა | 21 | 7 | 12 | 2 | 33:16 | 33 |
| ლოძი | 21 | 8 | 9 | 4 | 24:19 | 33 |
| კრაკოვია | 21 | 9 | 5 | 7 | 28:30 | 32 |
| ლეხი | 21 | 6 | 9 | 6 | 35:29 | 27 |
| გროცლინი | 21 | 4 | 14 | 3 | 22:20 | 26 |
| არკა | 19 | 4 | 10 | 5 | 22:22 | 22 |
| ვიძევი | 21 | 5 | 6 | 10 | 18:28 | 21 |
| გურნიკი | 21 | 5 | 5 | 11 | 22:33 | 20 |
| ოდრა | 21 | 3 | 9 | 9 | 16:30 | 18 |
| ლეჩნა | 19 | 4 | 5 | 10 | 13:38 | 17 |
| პოგონი | 21 | 3 | 7 | 11 | 17:27 | 16 |
| პლოცკი | 21 | 2 | 9 | 10 | 14:36 | 15 |

## შვეიცარია
### სუპერლიგა. XXVIII ტური

სენტ გალენი 0:0 ბაზელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 27 | 17 | 4 | 6 | 48:23 | 55 |
| ბაზელი | 28 | 15 | 7 | 6 | 57:36 | 52 |
| სენტ გალენი | 28 | 13 | 8 | 7 | 38:31 | 47 |
| იანგ ბოისი | 27 | 13 | 6 | 8 | 40:31 | 45 |
| გრასჰოპერი | 27 | 12 | 7 | 8 | 45:28 | 43 |
| სიონი | 27 | 11 | 8 | 8 | 42:37 | 41 |
| ლუცერნი | 27 | 7 | 7 | 13 | 26:39 | 28 |
| თუნი | 27 | 6 | 6 | 15 | 21:50 | 24 |
| აარაუ | 27 | 5 | 5 | 17 | 24:44 | 20 |
| შაფჰაუზენი | 27 | 4 | 8 | 15 | 23:45 | 20 |

## გერმანია
### თასის ნახევარფინალი

*ნიურნბერგი* 4:0 აინტრახტი
1:0 ენგელჰარდტი (3), 2:0 საენკო (25), 3:0 გალაშეკი (54), 4:0 პაგენბურგი (89)

## ავსტრია
### ბუნდესლიგა
### XXIX ტური

რაპიდი 2:2 მატერსბურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 28 | 18 | 7 | 3 | 58:17 | 61 |
| მატერსბურგი | 29 | 13 | 7 | 9 | 43:44 | 46 |
| რაპიდი | 29 | 10 | 10 | 9 | 41:41 | 40 |
| რიდი | 28 | 9 | 11 | 8 | 34:31 | 38 |
| პაშინგი | 28 | 10 | 8 | 10 | 32:30 | 38 |
| აუსტრია | 28 | 8 | 11 | 9 | 31:33 | 35 |
| ალტახი | 28 | 9 | 3 | 16 | 38:51 | 30 |
| ტიროლი | 28 | 7 | 9 | 12 | 30:43 | 30 |
| შტურმი | 28 | 10 | 5 | 13 | 29:36 | 22 |
| გრაცერი | 28 | 7 | 9 | 12 | 37:47 | 2 |

*შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა*
*გრაცერს დაკლებული აქვს 28 ქულა*

## საფრანგეთი
### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

გრენობლი 1:1 სტრასბური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 32 | 20 | 10 | 2 | 47:14 | 70 |
| კაენი | 32 | 16 | 12 | 4 | 54:31 | 60 |
| სტრასბური | 32 | 15 | 13 | 4 | 40:27 | 58 |
| ამიენი | 32 | 16 | 6 | 10 | 45:38 | 54 |
| ლე ავრი | 32 | 14 | 10 | 8 | 46:29 | 52 |
| გრენობლი | 32 | 11 | 13 | 8 | 43:34 | 46 |
| ბასტია | 32 | 12 | 10 | 10 | 40:38 | 46 |
| შატორუ | 32 | 13 | 7 | 12 | 35:37 | 46 |
| რეიმსი | 32 | 12 | 9 | 11 | 39:36 | 45 |
| დიჟონი | 32 | 12 | 9 | 11 | 33:38 | 45 |
| აიაჩო | 32 | 10 | 10 | 12 | 37:37 | 40 |
| გენიონი | 32 | 11 | 7 | 14 | 35:40 | 40 |
| ლიბურნი | 32 | 10 | 7 | 15 | 35:44 | 37 |
| გენგამი | 32 | 8 | 12 | 12 | 36:36 | 36 |
| ბრესტი | 32 | 7 | 14 | 11 | 32:35 | 35 |
| ნიორი | 32 | 8 | 11 | 13 | 29:40 | 35 |
| მონპელიე | 32 | 8 | 10 | 14 | 34:42 | 34 |
| კრეტეი | 32 | 7 | 12 | 13 | 25:40 | 33 |
| ისტრი | 32 | 7 | 8 | 17 | 26:51 | 29 |
| ტურსი | 32 | 5 | 6 | 21 | 25:49 | 21 |

### თასის ნახევარფინალი

მონაკო 0:2დ.დ.(0:0) *სოშო*
0:1 გრაფიტი (95), 0:2 ჟ. ლერუა (111)

## ამხანაგური მატჩი

სალვადორი 0:1 ჰაიტი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ლარეჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა,ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge